ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 7 აპრილი   1995 № 15 (153)   ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ



# პირველად საქართველოში

სავსებით რეალურია, რომ ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ვერ გახდეს. „სამტრედიამ“ ამ სეზონში ოთხიდან მესამე მატჩი მოუგო უცვლელ ჩემპიონს, ამჯერად იონანიძის ერთადერთი გოლით და კიდევ უფრო გაუსწრო მეტოქეს.

თუმცა, არც ისეა საქმე, „სამტრედიამ“ თავი ქუდში რომ დაიგულოს: დღესვე, ფოთში ისინი კიდევ ერთ მდევარს, „კოლხეთს“ შეხვდებიან, თბილისში კი „დინამოს“ ევროთასებზე გასვლის კიდევ ერთი პრეტენდენტი, „ბათუმი“ ეყოლება მეტოქედ. თამაშები დღეს 16 საათზე დაიწყება

# ფეხბურთი მოკვდაო?!

## უეფას თასი

პირველი ნახევარფინალური მატჩები. 4 აპრილი

### იუვენტუსი 2:2 ბორუსია

იუვენტუსი (ტურინი, იტალია): პერუცი, ფერარა, ტორიჩელი, კარერა, კოლერი, პაულო სოუზა, დეშამი, მაროკი (დელ პიერო 73), ვიალი (დი ლივიო 80), ბაჯო, რავანელი.

ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია): კლოსი, რაინჰარდტი, კრეე, ფროინდი, ჟულიო სეზარი (კურცი 83), ზამერი, როიტერი, ცორკი, რიკენი (ტანკო 68), მიოლერი, რიდლე.

ამერიკის შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე რუმინეთ-არგენტინის მატჩის შემდეგ „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“ წერდა: კეტბურთის კლუბთა პატრონები რომ ვიყოთ, მალაზიებს დავივლიდით, ამ შეხვედრის ყველა ვიდეოკასეტას ვიყიდიდით და გავანადგურებდით, თორემ მისი ნახვის შემდეგ კეტბურთზე ვინღა წავაო. ჩემი ნება რომ იყოს და შესაძლებლობაც ხელს მიწყობდეს, „იუვენტუს“ - „ბორუსიას“. მატჩის ვიდეოკასეტას ათიათასად ვაქცევდი და არა იმიტომ, რომ ჩვენში ან საერთოდ ევროპაში კეტბურთის შემოსევაა მოსალოდნელი, არამედ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მიჩუმდნენ ისინი, ვინც — ფეხბურთი ერთ ადგილზე დგასო — ან, ფეხბურთი მოკვდაო — გაიძახის.

...მილანის „სან სიროზე“ სამშაბათს ზღაპრული თამაში გაჩაღდა. პირველივე წუთიდან გერმანიის ჩემპიონატის ლიდერი ისე ეკვეთა მეტოქეს, გეგონებოდათ, მატჩის მიწურულია და დორტმუნდს ერთი გოლი აკლდებაო. პირველ ექვს წუთში პერუცი ხუთჯერ ჩაერთო თამაშში, მისი მეექვსე ცდა კი უნაყოფო გამოდგა — ზამერის შორეული პასით როიტერი მარჯვნიდან შევიდა „იუვეს“ საჯარიმოში და ანგარიში გახსნა. წუთნახევარი გერმანელები ისევ ისე თამაშობდნენ, ალბათ ინერციით, მერე კი წარმატებული ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი შეეპარათ. არადა, მატჩის მხოლოდ მეცხრე წუთი იყო. ტურინელთა პირველივე შეტევის დროს ზამერი შეცდა, მაგრამ ბაჯომ აცილა. ოციოდ წამში (!) თითქმის იგივე განმეორდა — ბაჯომ კვლავ აპატია ზამერს შეცდომა. მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ შემდგომში მთელი მატჩი მათიას ზამერი ჩინებულად ირჯებოდა და მესამედ მხოლოდ 87-ე წუთზე ვერ ივარგა, რამაც მის გუნდს მოგება დააკარგვინა.

„სერია A“-ს ლიდერმა ანგარიში 27-ე წუთზე გაქვითა. რამდენიმე სახიფათო, თუმცა უნაყოფო შეტევის შემდეგ ბაჯომ შორიდან დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა, აიჭრა, კლოსს თავზე გადაუფრინა, ძელს მოხვდა და უკან დაბრუნდა. აქ კი მას რავანელი ელოდა — კრეემ, სხვა გზა რომ აღარ იყო, ფაბრიციო ძირს დასცა. ფრანგმა მსაჯმა ბატამ არ დაახანა და ხელი საჯარიმოში არსებულ პატარა, მაგრამ საბედისწერო წერტილისკენ გაიშვირა. ბრაზილიელებთან აცილებული პენალტის შემდეგ რობერტო ბაჯო თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მდგარი არავის უნახავს, მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში ბუდისტმა გარისკა და ყველა დარწმუნდა, რომ ამ საქმეშიც ერთ-ერთი უძლიერესია — 1:1. გალაღებული ბაჯოს გაჩერება შეუძლებელი შეიქმნა. ხუთ წუთში მასპინძელთა კაპიტანმა ოთხი მცველი მოატყუა და პოლონელთა ვერსიით ფაშიზმის მთავარი დამმარცხებლის მოგვარეს რომ არ ეყოჩაღა, „იუვე“ წინაც გავიდოდა. ცოტა ხანში ბაჯომ კვლავ სახიფათოდ შეუტია, მაგრამ კლოსი ისევ კლოსობდა. მოკლედ დორტმუნდს შესვენების მაუწყებელმა სასტვენმა სულზე მიუსწრო. ტაიმებს შუა ვიფიქრე, ეს რა ზღაპრული 45 წუთი ვიხილე-მეთქი. ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ სამი დღის წინ ჩატარებული ეროვნული ჩემპიონატების უძნელესი მატჩების შემდეგ გუნდები განსაკუთრებით „იუვენტუსი“, ასეთ ჯოჯოხეთურ, არაადამიანურ ტემპს გაუძლებდნენ. საბედნიეროდ, შევცდი და ჩემი და მილიონობით მაყურებლის სიამოვნება კიდევ 45 წუთს გაგრძელდა.

...გერმანელებს რომ უფრო აწყობდათ ეს ანგარიში, ფაქტია და ამიტომ „მთავარი გმირის“ ფუნქციას ისევ „იუვენტუსი“ ასრულებდა, მაგრამ პირველი ტაიმის მეორე ნაწილისგან განსხვავებით, „ბორუსია“ მარტო დაცვაზე აღარ ფიქრობდა და „სან სიროს“ მაყურებელიც „უიმბლდონის“ ან „როლან გაროსის“ დასწრესას დაემსგავსა — ერთ შეტევას მეორის კონტრშეტევა ცვლიდა. 72-ე წუთზე მიოლერი, რომელიც თბილისის მატჩისგან განსხვავებით უფრო შეტევის ორგანიზებით იყო დაკავებული, წამით მარტო დარჩა (რაც ამ დღეს მეტისმეტი ფუფუნება იყო), ბურთი გაისწორა და 23-ოდე მეტრიდან ცხრიანში გაახვია. სიტუაციიდან გამომდინარე იტალიელები ავანტიურაზე წავიდნენ და რიდლესა და მიოლერს შეეძლოთ ორრაუნდიანი საქმე იმდღესვე დაემთავრებინათ, მაგრამ არ გამოუვიდათ. საბედისწერო კი სტუმრებისთვის 83-ე წუთი აღმოჩნდა. სწორედ მაშინ დორტმუნელთა რიგებში უცნაური ცვლილება მოხდა — მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფილდმა ჟულიო სეზარის მაგივრად მარკო კურცი გამოიყვანა. ბრაზილიელი საიმედო თამაშით არ გამოირჩევა და მისგან ყოველწუთს რაღაც უხეიროა მოსალოდნელი, მაგრამ იმ მომენტში, როცა გუნდს 7 წუთი დარჩა გასაძლები და დაცვაც წარმატებით მოქმედებს, მასში ცვლილების შეტანა ნამდვილად სარისკო საქმეა. ასეც მოხდა. 87-ე წუთზე ტრავმირებული ვიალის ნაცვლად შესულმა დი ლივიომ მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, ზამერი ვერ შეწვდა მას და შეტევაში ჩართულმა, უყურადღებოდ დარჩენილმა (და ეს 87-ე (!) წუთზე) იურგენ კოლერმა თანამემამულეებს მეორე გოლი გაუტანა. დარჩენილ დროში მსაჯმა მაროკის, ტორიჩელის, მიოლერის, როიტერის, რიდლეს, ცორკის, კლოსისა და ზამერის გაფრთხილებებს კიდევ ერთი, ტორიჩელისთვის მეორე დაამატა და ამანაც დანარჩენებზე 2 წუთით ადრე დასტოვა მოედანი.

...კინემატოგრაფში თითქმის აქსიომაა, რომ გახმაურებული ფილმის შემდგომ გადაღებული გაგრძელება ყოველთვის ჩამოუვარდება პირველს. ფეხბურთში ამის დადგენა ძნელია, მაგრამ მაინც ვცადოთ: ორი კვირის შემდეგ გველის „იუვენტუსი“ — „დორტმუნდი“ II, რომელშიც მეორე ყვითლების გამო ველარ ვიხილავთ ზამერს, მიოლერსა და რიდლეს.

### ბაიერი 1:2 პარმა

ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია): ვოლბორნი, პაპე, მელციგი, დული, ლუპესკუ, შოლცი, პაულო სერჟიო (ტომი 42), შუსტერი, კირსტენი, ლენჰოფი (ფიოლერი 64), ჰაპალი.

პარმა (იტალია): ბუჩი, ბენარივო, დი კიარა, მინოტი, სუსიჩი, ფერნანდო კოუტუ, პინი, ბაჯო, სენსინი (ფიორე 45), ძოლა, ასპრილია.

მილანის მატჩის შემდეგ ძნელია გაიხსენო ლევერკუზენში შემდგარი მეორე ნახევარფინალის პერიპეტიები. მასპინძლებმა ხეირიანი ვერაფერი აჩვენეს. მათი ლიდერი და კაპიტანი, 36 წლის ბერნდ შუსტერი მოედანზე მოურავივით დადიოდა და მხოლოდ ახალგაზრდობიდან შემორჩენილი ორიოდ შორეული პასით და რიგიანი კუთხურებით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი კუთხურის დროს ბრაზილმელმა სერჟიომ ანგარიში გახსნა. ეს მე-19 წუთზე მოხდა. სერჟიო, ვინც ერთადერთი შედარებით ნათელი წერტილი იყო თავის გუნდში, კიდევ 23 წუთი ითამაშა, ფეხი იტკინა და გავიდა. მეორე ტაიმში დინო ბაჯომ (47) და ასპრილიამ (53) ორი გოლი გაიტანეს, ფიოლერისა და ტომის ფაციფუცმა კი არაფერი მოიტანა და ერთ-ერთი ფინალისტის ვინაობა თითქმის უკვე გაირკვა. თუმცა... გერმანელები ყოველთვის გერმანელებად რჩებიან და 21 500 მაყურებელს, ალბათ, იმედი საბოლოოდ არ გადაუწურია.

## ჩემპიონთა ლიგა

პირველი ნახევარფინალური მატჩები: 5 აპრილი

### პარი სენ-ჟერმენი 0:1 მილანი

პსჟ (საფრანგეთი): ლამა, ლასერი, კობო, რიკარდო, როში, ლე გენი, ბრავო, გერენი, ვეა, რაი, ჟინოლა.

მილანი (იტალია): როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო, დესაი, ბობანი, სავიჩევიჩი, სიმონე (მასარო 84).

პირველივე წუთებზე ლამას ორმა აბსურდულმა შეცდომამ და მისი თანაგუნდელების ხშირმა ფეხის დაცდენამ თუ სხვა უზუსტობებმა ცხადყვეს, რომ პარიზელები სტუმრებზე მეტად ღელავდნენ. რაგინდარა მეტოქესთან ნახევარფინალებს და ფინალებს ჩვეული მილანელები კი თავიდანვე, მეტოქის მთელ მოედანზე მოხრჩობას შეუდგნენ. შემდეგ თამაში გათანაბრდა, იყო ისეთი პერიოდებიც „ჟერმენი“ რომ მძლავრობდა. შეხვედრის ვარსკვლავები ფრანგი დავიდ ჟინოლა და იტალიელი პაოლო მალდინი იყვნენ. პარიზელებმა, თუმცა, ამჯერად არ გაუმართლათ, ერთხელ გვაჩვენეს მომზადებული კუთხურ-ჯარიმების ძალა. 91-ე წუთზე, როდესაც ყველას ეგონა მსაჯის სასტვენი ბოლოს გახელებულ მასპინძლებს შეტევას შეუწყვეტსო (85-ე წუთზე ჟინოლამ ძელს გაარტყა), „მილანმა“ ბურთი ჩაიგდო და მასარო-სავიჩევ-ბობანის ტყვიისებური კონტრშეტევით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა. შვეიცარელი არბიტრი მუმენტალერი სამსაჯოდ მეტად რთულ შეხვედრას ჩინებულად გაუძღვა და იმასაც ცდილობდა წინა მატჩებში ყვითლებით ავსებული მოთამაშეები დაენდო, მაგრამ მთლად „მშრალად“ გამოსვლა მაინც ვერ შეძლო. მის მიერ გაფრთხილებულ კოსტაკურტას მეორე ნახევარფინალის გაცდენა მოუწევს.

### ბაიერნი 0:0 აიაქსი

ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია): გოსპოდარეკი, ბაბელი, ციგე, კუფური, ჰელმერი (გრიმი 89), ნერლინგერი, ჰამანი, შუპი, ციკლერი, შოლი, სუტერი.

აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია): ვან დერ საარი, რაიციგერი, ბლინდი, რაიკაარდი, ფ. დე ბური, რ. დე ბური (ბოგარდი 73), ფინიდი, ზიდორფი, კანუ (კლუივერტი 63), ლიტმანენი, ოვერმარსი.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა ერთხელ აღელვეს ვან დერ საარი, როცა 21-ე წუთზე ნერლინგერის შორეულმა დარტყმამ ჰოლანდიელთა მეკარემდე მიაღწია. მანამდე და ამის შემდეგაც უპირატესობა „აიაქსის“ მხარეზე იყო: ლიტმანენს, კანუს, ზიდორფსა და ფინიდის შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. შესვენების შემდეგ გერმანელები შედარებით გამოცოცხლდნენ, მაგრამ მაინც ძნელი გასაგები იყო, სად მიმდინარეობდა თამაში — მიუნხენსა თუ ამსტერდამში. „აიაქსი“ ტრადიციულად სამი თავდამსხმელით თამაშობდა და მასპინძლებს შტურმისა ან მსგავსი რამის გაკეთების საშუალება არ მისცა. „ბაიერნიდან“ გამოირჩეოდა კუფური, ვინც ოვერმარსს მარცხენა ფრთაზე ნავარდი შეუწყვიტა. საბოლოოდ ყველაფერი გადაწყდება ამსტერდამში, სადაც მეორე გაფრთხილების გამო „აიაქსს“ ფრენკ დე ბური დააკლდება.

გიგა კობახიძე



ზვონიმირ ბობანი

## ფინეთშიც წავაგეთ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ფინეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო ორი მატჩი გამართა მასპინძლებთან. სამწუხაროდ, ჩვენები ორივეჯერ დამარცხდნენ 24:27 და 27:28. თუმცა როგორც ნაკრების უფროსმა, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ მეტრეველმა გვითხრა, ფინეთის ნაკრები დაახლოებით ჩვენი ძალის გუნდია და ერთი თამაშის მოგება მაინც შეიძლებოდა. მისივე სიტყვებით, მარცხი განაპირობა დაცვაში შეცდომებმა და ჩვენების სუსტმა სათამაშო დისციპლინამ.

ქართველები ოთხგუნდიან ტურნირში უქულოდ ბოლო ადგილზე დარჩნენ.

„სარბიელი“ ძველებურად, სამშაბათობითა და პარასკეობით გამოდის

**საქართველოს ჩემპიონატი. I ჯგუფი**

19-ე ტური, 2 აპრილი

### შევარდენი 1:0 სამგურალი

შევარდენი: აბუსერიძე, დათუაძე (ფრიდონაშვილი 46), მჭედლიშვილი, ბარქაია, გუჩუა, შილაკაძე, მაქაცარია, ლ.ბერიშვილი (თოლორდავა 75), გოგოლაძე, ჯელაძე, შუბითიძე.
სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, თოდაძე, გ. ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე, გ. ჩიხლაძე, ივანეიშვილი (მუშკუდიანი 46), იობიძე, ჯანაშია (გუბელაძე 80), აშვეთია, ჩხეტიანი.
1:0 ფრიდონაშვილი (80)
გაფრთხილება: გუჩუა
გაძევება: ბარქაია (88), გუბელაძე (88)
მსაჯი: გ.ასკაროლლი (ქარელი)

### ივერია 5:0 დურუჯი

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, მალანია, ჩადუნელი (ლაცაბიძე 55), ტყემალაძე, იობაშვილი, ჩიბაშვილი (გლუნჩაძე 75), მარლიშვილი, ქობელაშვილი, წიკლაური
დურუჯი: ალავიძე, მოსიაშვილი, ყანჩაშვილი, გეგეშიძე, ოსაძე, ქარენაშვილი, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, ოსფაშვილი (წიწრიაშვილი 78), დავითაშვილი, ლვინიაშვილი
1:0 მალანია (15), 2:0 ქობელაშვილი (29), 3:0 წიკლაური (48), 4:0 მარლიშვილი (61), 5:0 ტყემალაძე (89)
მსაჯი: შ. ბერაძე (ასპინძა)

### ტორპედო 0:0 კოლხეთი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, თურმანიძე, ბზიკაძე, კვეტენაძე, წიქარიშვილი, სუხიაშვილი, ხუნდაძე, მეგრელაძე, გიორგობიანი (ვაჩიბერაძე 60), ნოზაძე
კოლხეთი 1913: გვასალია, ქუნთელია, კაკაჩია, დანელია, ინიაშვილი, ღალანიძე, თიბილაშვლი, ტორჩინავა, გიორგაძე, დარასელია, ბულუხია (ქობულაძე 85)
გაფრთხილება: სუხიაშვილი, მეგრელაძე, თიბილაშვილი
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### დილა 0:1 მეტალურგი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, (ფეზუაშვილი 52), ჯ.გაგნიძე,თარხნიშვილი, გეგეჭკორი, მარეხაშვილი, ციცქიშვლი (ლომიძე 65), წკრიალაშვილი, ზურ. ხორგუაშვილი, ზვ. ხორგუაშვილი
მეტალურგი: დოლიძე, ტარტარაშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, ყაველაშვილი, ვ.კილასონია, ჩალაძე (გაფრინდაშვილი 46), გ. კილასონია, პერტია, მეტრეველი (ქებაძე 60), ალადაშვილი
0:1 პერტია (34)
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

### მარგვეთი 1:0 ზუგდიდი

მარგვეთი: გვენცაძე, ტონია, გურიელიძე, ყვანია, მალლაკელიძე, კაციაშვილი, გაბრიჭიძე, სულაკაძე (მაჭავარიანი 46), ჩხეტია (თხელიძე 65), კიკნაძე, ენდელაძე
ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ქაძანაია, კვარაცხელია, ჯაბუა, დარასელია, კუტალია, გაბედავა (წიტაიშვილი 68)
1:0 ენდელაძე (43 პ)
გაფრთხილება: ჯაბუა
მსაჯი:თ. ლაცაბიძე (სურამი)

### ბათუმი 0:0 კახეთი

ბათუმი: ბალაძე, მუჯირი, ი. მახარაძე, შანიძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, ამბიძე (ხომერიკი 65)
კახეთი: ჩიქვინიძე, შონია, კაციტაძე, ჩლაიძე, სოლოლაშვილი, ცქიურიშვილი, ბაკურაძე, ლ.ხოხელი, კალუუა, სირაძე, დოლიძე
გაფრთხილება: დოლიძე
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### გურია 2:1 საპოვნელა

გურია: კუნჭულია, კოროტკოვი, თევზაძე, კუკულაძე, ბუცურეიშვილი, ლორია (ქიქავა 80), კვინტრაძე, ნარიაშვილი, განიევი, სიხარულიძე, ბურდული
საპოვნელა: ქათამაძე, კუხიანიძე, გენაძე, ჭელიძე, ხვარეშია, უკლება, ბუნტური (ლილუაშვილი 85), გურაბანიძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა
1:0 სიხარულიძე (15), 2:0 ლორია (25), 2:1 გოდერძიშვილი (50)
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 19 | 17 | 1 | 1 | 56-14 | 52 |
| დინამო | 18 | 14 | 2 | 2 | 74-21 | 44 |
| კოლხეთი | 18 | 13 | 2 | 3 | 39-14 | 41 |
| ბათუმი | 19 | 11 | 4 | 4 | 47-24 | 37 |
| მეტალურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 27-21 | 30 |
| ტორპედო | 19 | 9 | 2 | 8 | 31-28 | 29 |
| დილა | 19 | 8 | 4 | 7 | 15-17 | 28 |
| გურია | 19 | 7 | 5 | 7 | 31-43 | 26 |
| ივერია | 19 | 7 | 2 | 10 | 29-28 | 23 |
| ზუგდიდი | 19 | 6 | 3 | 10 | 31-36 | 21 |
| შევარდენი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-24 | 20 |
| მარგვეთი | 19 | 5 | 4 | 10 | 14-38 | 19 |
| კახეთი | 19 | 4 | 7 | 8 | 24-35 | 19 |
| დურუჯი | 19 | 5 | 1 | 13 | 19-49 | 16 |
| საპოვნელა | 19 | 4 | 2 | 13 | 22-51 | 14 |
| სამგურალი | 19 | 1 | 4 | 14 | 13-49 | 7 |

ცხრილი შეტანილი არაა 20-ე ტურის გუშინდელი 6 მატჩის შედეგი

ბომბარდირები: პაატა მაჭუტაძე, ბათუმი — 17, ზაზა ჯანაშია, სამტრედია — 13; გია ჯიშკარიანი, სამტრედია — 13, არჩილ არველაძე, დინამო — 13, ალექსანდრე იაშვილი, დინამო — 12

# ინტრიგა. 21-ე ტური. 10 აპრილი

### შევარდენი 1906 — დინამო

თბილისური დერბის სარბიელი ამჯერად „შევარდენის" სტადიონი იქნება. ეროვნულ ჩემპიონატებში შევარდენელები სხვა გუნდებთან შედარებით (თუ არ ჩავთვლით „კოლხეთი 1913"-ს) უკეთ უმკლავდებიან „დინამოს". 12 შეხვედრიდან მათ 3 მოიგეს, ცხრაში კი დამარცხდნენ. პირველ ორ მოგებულ მატჩში უკვე ჩემპიონობაგანაღდებულ „დინამოს" მაინცდამაინც თავი არ მოუკლავს (ერთ შემთხვევაში პირველ ტაიმს 3:0 იგებდა, (მეორეში კი 4 გოლი გაუშვა) და შეიძლება წაეშვეს კიდეც ერთხელ გასავარდნად „შემზადებულ", მეორედ კი ვიცე-ჩემპიონობისკენ მავალ თანაქალაქელებს. აი, მესამეში რაიმე დათმობაზე ლაპარაკი უაზრობაც კია, რადგან 1993 წლის 30 ნოემბერს „დინამომ", პირველად ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში, დიდი ანგარიშით — 0:3 წააგო. ამით „შევარდენმა" რევანში აიღო იმავე სეზონში სალინფილდოდ გამზადებულ „დინამოსთან" სასტიკი მარცხისთვის — 1:7. სხვათა შორი, ამ წყვილის ორთაბრძოლებს უხვგოლიანობა ეთქმის — 12-დან 7 მატჩში 4 და მეტი გოლი გადიოდა, სულ კი მაყურებელმა იხილა 52 გატანილი ბურთი, რაც ბომბარდირთა სიმრავლეზეც მეტყველებს. დინამოელთაგან უყოჩაღიათ ა. არველაძეს — 6 გოლი, რევიშვილს, ყაველაშვილს — 5-5, ინალიშვილს — 4, შევარდენელთაგან — გოგიჩაიშვილს და ანჩაბაძეს — 3-3. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი და ახლანდელი დინამოელები — გოგიჩაიშვილი, ანჩაბაძე და ნემსაძე (2-2 გოლი) დაუნდობელნი იყვნენ თავიანთი გუნდის მიმართ, მაშინ როცა „შევარდენის" კარის ბადე ერთხელაც არ შეურხევიათ. პირველი წრის შეხვედრა ეროვნულ სტადიონზე დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა 5:3. „შევარდენის" სტადიონზე გამართული 5 მატჩიდან 3 მოიგეს მასპინძლებმა, 2 — სტუმრებმა. მომავალი მატჩის შემდეგ თანაფარდობა ალბათ აღდგება, რადგან სამტრედიაში განცდილი მარცხის მერე დინამოელბს ქულის დაკარგვის უფლება არა აქვთ, სხვანაირად, პირველად დაემშვიდობებიან ჩემპიონის ტიტულს. მასპინძლებმა „სამგურალთან" დაძაბული მატჩის ბოლო წუთებზე ვეტერან ფრიდონაშვილის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით ოდნავ გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ თავი ქუდში გვაქვსო, ჯერაც ვერ იტყვიან. ასე რომ, დაძაბული შეხედრაა მოსალოდნელი. საერთმანეთო მატჩებში დინამოელები კორექტულობით ვერ დაიკვეხნიან — 2 გაძევება, 5 გაფრთხლება (მასპინძლებს — 3 გაფრთხილება).

### ბათუმი — კოლხეთი 1913

იქნებ სწორედ ამ შეხვედრაში გადაწყდეს მესამე ადგილის ბედი. წარმატების შემთხვევაში მასპინძლები კიდევ ინარჩუნებენ შანსს, პირველად გახდნენ ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორები, ხოლო თუ სტუმრები იმარჯვებენ, შეიძლება მეორე ადგილსაც გამოკრან ხელი. არადა, ამ წყვილის შეხვედრათა ნუსხას თუ გადავხედავთ, ფოთელებს საკმაო უპირატესობა გააჩნიათ: 6 მოგება, 3 ფრე, 3 წაგება, ბურთების სხვაობა 22-17. ისინი ბათუმშიც არ ასპარეზობენ ურიგოდ — თითო მოგება და წაგება, სამი ფრე. მათი შეხვედრები ყოველთვის უშელავათოა — 12-დან 8 მატჩში მეტოქეებმა მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით გაიმარჯვეს, სამჯერ ფრე იყო და მხოლოდ ერთი მატჩი დასრულდა ფოთელთა დიდი ანგარიშით გამარჯვებით — 5:2. ამ მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კოლხელები 3:2-ს იგებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს ორი გოლის გატანა. ამ მეტოქეებს ისიც სჩვევიათ, რომ ერთმანეთს ბოლო წუთამდე უშელავათოდ ებრძვიან, რისი დასტურიცაა ბოლო 10-წუთიან მონაკვეთებში გატანილი 11 გოლი (39-დან). მასპინძელთაგან საუკეთესო ბომბარდირია პაატა მაჭუტაძე — 6 გოლი, სტუმართაგან კი მეორე წრიდან უკრაინას გადაბარგებული ივანე ჯუღელი — 5. საერთმანეთო შეხვედრებში ეს წყვილი კორექტული ვერ არის — მსაჯებმა 16 ყვითელი (10-ბათუმი, 6 — „კოლხეთი 1913") და 2 წითელი (ორივე — ბათუმი) ბარათით „დააჯილდოვეს" ფეხბურთელები. თანაც, სასჯელებს უმეტესწილად ერთიდაიგივე მოთამაშეები იღებდნენ. ბათუმელთაგან: ტულუში — გაძევება, 2 გაფრთხილება, ზედანია — გაძევება, გაფრთხილება; ფოთელთაგან: თიბილაშვილი — 3 გაფრთხილება, გოროზია — 2 გაფრთხილება. ორივე გუნდის 12 დასჯილი ფეხბურთელიდან, ზედანიას გარდა, დღეს ყველა მწყობრშია, ასე რომ, ამ მატჩში მოსალოდნელია ექსცესები. პირველი წრის ფოთის შეხვედრაში გაიმარჯვეს ბათუმელებმა 3:2, თანაც მათ სტუმრად ზუსტად ასეთივე ანგარიშით 4 წლის წინათაც დაამარცხეს მასპინძლები. არადა, შინ ამის გაკეთება მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. მე-19 ტურის შეხვედრებში ორივე გუნდმა ნულოვანი ფრე ითამაშა. თუ ფოთელთათვის ეს შედეგი დამაკმაყოფილებელი იყო — მათ ხომ ამას ქუთაისში, ადგილობრივ „ტორპედოსთან" მძიმე მატჩში მიაღწიეს — ბათუმელებს იგი პასივში ჩაეთვალათ, რადგან მათ მეტოქეს, თელავის „კახეთს" ისე უჭირს, იმ მატჩში კარებში სათადარიგო მეკარე დააყენეს, ძირითადი კი წინ ათამაშეს. ეტყობა, მასპინძლებს ზედმეტმა თავდაჯერებამ დააკარგვინა ძვირფასი ორი ქულა, რომელიც მათ აგრერიგად სჭირდებოდათ.

### სამტრედია — ტორპედო

ჩემპიონობისკენ სავალ გზაზე მთავარ კონკურენტთან, თბილისის „დინამოსთან" გამარჯვების შემდეგ სამტრედიელები ალბათ შეეცდებიან პოზიციის კიდევ უფრო განმტკიცებას. ეს შეხვედრა მათთვის ამითაცაა მეტად მნიშვნელოვანი. ამ წყვილის მატჩები, როგორც ჩვენებურ მეზობლობას სჩვევია, მუდამ გამოირჩეოდა სიმძაფრით. სამტრედიელებმა ამ სეზონში ერთადერთი მარცხი (1:2) სწორედ ქუთაისში იწვნიეს და, უეჭველია, რევანშსაც შეეცდებიან და ურთიერთშეხვედრებში დაწინაურებასაც: აქამდე ხომ მეტოქეებმა 5-5 მატჩი მოიგეს და 2 ფრედ დაამთავრეს. ბურთებში ოდნავ უკეთესობა ქუთათურების მხარესაა — 18-15. სამტრედიის მატჩებში მასპინძლებმა მოიგეს 3, ხოლო თითო წააგეს და ფრედ დაასრულეს. წინა წყვილისა არ იყოს, 12-დან 8 მატჩში ამათაც ერთბურთიანმა უპირატესობამ გაამარჯვებინა, თითოჯერაც იყო ორბურთიანი და სამბურთიანი სხვაობა (ორივე „ტორპედომ" მოიგო), ხოლო ორში მეტოქენი ზავით დაშორდნენ. საერთმანეთო შეხვედრების ბომბარდირები — ქუთაისელი ხუნდაძე (5 გოლი) და სამტრედიელი იონანიძე (4) დღესაც იცავენ ამ კლუბების ღირსებას და ალბათ შეეცდებიან, კიდევ შეიმატონ გოლები . იონანიძემ, როცა ის „ტორპედოში" გამოდიოდა, ორჯერ გაამწარა ამჟამინდელი თავისიანები, ასევე ამჟამად სამტრედიელმა და ყოფილმა ტორპედოელმა დავით ჯანაშიამ კი ორივე მხარეს თითო უშედეგო პენალტი დაურტყა. სულ კი, 6 თერთმეტმეტრიანიდან მხოლოდ სამი გამოდგა შედეგიანი.

### ივერია — ზუგდიდი

ამათში ყოველთვის მასპინძლები ყოჩაღობდნენ. ორ მატჩში გაიმარჯვეს ხაშურელებმა, ოთხში — ზუგდიდელებმა , ასე რომ, მასპინძლები ალბათ ამჯერადაც არ უღალატებენ ტრადიციას. მითუმეტეს, რომ ხაშურელები მშვენიერ ფორმაში არიან და მეორე წრის ოთხი მატჩიდან სამში გაიმარჯვეს , მათ შორის ორში ანგარიშით 5:0. ამ მეტოქეთა ორთაბრძოლები უხეში არასოდეს ყოფილა — ერთადერთი, ისიც მსაჯთან კამათისთვის მიღებული გაფრთხილებაა ამის დასტური. აღსანიშნავია აგრეთვე სამი „ჰეთ-ტრიკი", რომელთა შემსრულებლები ბომბარდირთა შორის ლიდერობენ: შეროზია — 4 გოლი, გაბისონია (ორივე ზუგდიდი) და ქობელაშვილი („ივერია") — 3-3. I წრის ზუგდიდის მატჩი მასპინძლებმა მოიგეს 3:1. ეს ანგარიში გვხვდება ყველაზე ხშირად ამათ შეხვედრებში (6-დან 3-ში)

### მარგვეთი — სამგურალი

ამ შეხვედრაში შეიძლება ბევრი რამ გადაწყდეს: წარმატება მასპინძლებს აუტსაიდერთა რიგებს უფრო განაშორებს, თუ სტუმრები გაიმარჯვებენ, კიდევ დარჩებათ თეორიული შანსი, შეინარჩუნონ ადგილი უძლიერესთა შორის, წარუმატებლობის შემთხვევაში კი წყალტუბოელებს ალბათ მამაზეციერიც ვერ უშველის. მეორე წრეში ორივე გუნდი უკეთ ათამაშდა — მასპინძლებმა 4 თამაშში 7 ქულა დააგროვეს, სტუმრებმა კი ამდენივეში — 4. მე-19 ტურში „მარგვეთმა" დაამარცხა ზუგდიდი 1:0, თანაც ამ მატჩში პირველად ათამაშა გამოცდილი მეკარე გვენცაძე, რომელმაც პირველივე შეხვედრაში მშრალად შეინახა თავისი კარი. წყალტუბოელები კი თბილისში დამარცხდნენ „შევარდენი 1906"-თან, თუმცა მათი ახალწვეულების ჩხეტიანის და განსაკუთრებით აშვეთიას თამაშმა სპეციალისტებიც კი ალაფრთოვანა. მარგვეთელები „პირად შეხვედრებშიც" უკეთ გამოიყურებიან — 4 მოგება, 2 წაგება. ეს მატჩები იმდენად უშელავათო იყო, ყველა ერთბურთიანი სხვაობით დასრულდა, მათ შორის სამჯერ ერთნაირი ანგარიშით — 3:2. საერთმანეთო ბომბარდირები ჯუღელი („მარგვეთი") — 5 გოლი და მეგრელაძე („სამგურალი") — 4, ამჟამად სხვა გუნდებში თამაშობენ. 6 მატჩში ფეხბურთელებმა მსაჯებისგან 10 ყვითელი ბარათი დაიმსახურეს. პირველ წრეში წყალტუბოში სტუმრებმა გაიმარჯვეს 1:0.

### დილა — საპოვნელა

„დილა" ბოლო ტურებამდე მეხუთე ადგილის ყველაზე რეალური კანდიდატი იყო, რადგან მთავარ მოცილეს — რუსთავის „მეტალურგს" მასპინძლობდა, მაგრამ ამ მატჩში დამარცხებამ გორელთა პრეტენზიები აშკარად „გაახუნა". სტუმრებს, რომლებმაც მეორე წრეში მხოლოდ სამი ქულა მიუმატეს თავიანთ მწირ მონაგარს, ყოველი წარუმატებლობა პირველ ჯგუფთან განშორებას უახლოვებს, თუმცა სწორედ გორელბთან თერჯოლელები ურიგოდ არ გამოიყურებიან. მათ ორჯერ დიდი ანგარიშით (მათ შორის პირველ წრეშიც — 3:0) დაამარცხეს მეტოქე და მხოლოდ ერთხელ, გორში დათმეს მინიმალური ანგარიშით. ამ შეხვედრის შემდეგ თანაფარდობა ალბათ აღდგება. [illegible] ბარდირებს შორის მხოლოდ თერჯოლელი გოდერძიშვილის გამოყოფა შეიძლება, რომელმაც 4-ჯერ აიღო გორელთა კარი (იმაზე მეტჯერ, რაც გორელებმა ერთად აღებულებმა).

### გურია — კახეთი

ესენი მეორე წრის სტარტზე საკმაოდ სუსტად გამოიყურებიან, თუმცა მე-19 ტურში მათ მეტნაკლებად გამოასწორეს მდგომარეობა. „გურიამ" შინ დაამარცხა „საპოვნელა" და ამით მოიგვარა თავისი საქმე, „კახეთმა" კი უმძიმესი მატჩი ითამაშა ბათუმში და ქულაც წამოიღო, რაც მიმდინარე სეზონში ვერ შეძლო ვერცერთმა გუნდმა, თბილისის „დინამოს" გარდა („დინამომ" მოიგო). საერთმანეთო მატჩებში კახელები არიან წინ — 1 მოგება, 2 ფრე. ლანჩხუთში მათი შეხვედრა ფრედ დასრულდა. პირველი წრის მატჩშიც, თელავში ფრე 1:1 აღინიშნა და საკმაოდ არაკორექტულად წარიმართა — 4 ფეხბურთელი გააფრხილეს, ერთს კი მოედანიც დაატოვებინეს.

### მეტალურგი — დურუჯი

სამ მატჩში ფრეთა სერიის შემდეგ გორში უშუალო კონკურენტთან გამარჯვებამ რუსთაველებს ხუთეულში დამკვიდრების ყველაზე რეალური შანსი გაუჩინა. საამისოდ მათ პერივით სჭირდებათ ყვარელში სამი ქულის აღება, თანაც, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „დურუჯი" ოთარ გაბელიას აქედან წასვლის შემდეგ უსწრაფესად მიექანება სატურნირო ცხრილის ფსკერისკენ. აქამდე ეს გუნდები ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს — პირველი წრის მატჩში, ყვარელში ძმებმა კილასონიებმა ორი უპასუხო გოლი გაუტანეს მასპინძლებს.

**რევაზ შენგელია**

დათო ყიზილაშვილი [illegible]
უბედობა ფეხდაფეხ [illegible]. ჯერ [illegible] და, „ნორჩ დინამოელში" 22 კაცში ვე[illegible] ხვდებოდა, მერე კი გუნდის საუკეთესო მოთამაშე [illegible] „დინამოში" [illegible] სსრკ პირველობაზე „დნეპრის" კარში გატანილი [illegible] მომდევნო თამაშში კი... [illegible] ეროვნულ ჩემპიონატში დინამოელთა შორის მხოლოდ მეცამეტე თამაშში გამოჩნდა, პირველ სეზონში ათი მატჩი ჩაატარა მეთორმეტე ნომრით, გოლიც მხოლოდ ორი გაიტანა და ვერც ჩემპიონის ოქროს მედალი ერგო. მომდევნო ორი სეზონი ზუგდიდის „ოდიშში" გაატარა, აქ საუკეთესოს სახელიც დაიგდო და აკი „დინამო" — „საქართველოს კლუბების ნაკრები"-ს მატჩზე (0:3) მურთაზ შელიაც დაჩაგრა. მერე ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის ტურნირზე პირველ მატჩში შეცვლაზე შე-

## „კიზი"

მოსულს ბევრი არაფერი გაუკეთებია, მეორე თამაშში კი ერთბაშად ოთხი გოლი გაიტანა (აქედან ერთი არ ჩაითვალა). იმხანად ზუგდიდი ჩვენ შინაომებს მოეცვა და დათოს ბევრი თამაში გაუცდა. მერე „შევარდენში" გადმოვიდა, აქაც თავისი სათქმელი თქვა, კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა და... კვიპროსს გაემგზავრა. იქ პირველივე მატჩში უეფას თასზე შვეიცარიის „არაუსთან" ორი გოლი გაიტანა და მყის კვიპროსელთა კერპი გახდა. განმეორებით მატჩშიც შეაგდო გოლი, თუმცა მსაჯმა არ ჩათვალა და შემდგომ ეტაპზე „არაუ" გავიდა. მალე გოგრიჭიანიც ჩამოვიდა და ქართველ ლეგიონერთაგან პირველებმა მოიპოვეს უცხო ქვეყნის ერთ-ერთი პრიზი — ეროვნული თასი. ამას საზარდულებზე გაკეთებული უმძიმესი ოპერაცია მოჰყვა. მ[illegible] რე სეზონი გოჩას და დათოს [illegible] ენდა ქცეულიყო [illegible] ლმა მწვრთნელმა, გერმა[illegible] პროკოპმა ორივეს კარგა ხანს აჩეხი[illegible] სათადარიგოთა სკამი. როცა საქმე ჩვენების გარეშე ცუდად წაუვიდა, პროკოპმა გულშემატკივართა [illegible] კლუბის ხელმძღვანელთა დაჟინებული მოთხოვნით ქართველები გუნდში დააბრუნა და აკი დათოს გოლმა „პეზოპოლიკოსთან", „ომონია" ამასწინათ სეზონში პირველად გაიყვანა პირველ ადგილზე. მომდევნო მატჩი ყიზილაშვილის ჩინებული თამაშის წყალობით მოიგეს, ამის მერე კი, დათოს რომ კუნთი გაეჭიმა და სამი მატჩი გამოტოვა, ეს არაფერი, საქართველოს ნაკრებსაც გამოაკლდა გერმანელებთან... მასთან ტელეფონით დაკავშირება სწორედ გერმანიის მატჩის შემდეგღა შევძელი...

**— დათო, რა ვერ გაიყავით თქვენ და პროკოპმა?**

— არ ვიცი, ასეთი არაფერი მინახავს. ჩამოვიდა თუ არა საბერძნეთიდან, მე, გოჩას და დუდიჩს ალმაცერა[illegible] დაგვიწყო ყურება. ჩვენი თავიდან მო[illegible] შორება და თავისი ყოფილი კლუბიდა[illegible] 4 კაცის ჩამოყვანა უნდოდა, არა და არ[illegible] გვაღირსა ძირითადი. ამასობაში გუნდ[illegible] მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდ[illegible] პროკოპს საქმე მოსახსნელად გაუხდ[illegible] და ნელ-ნელა დაგვიტკბა. ჩვენც პირველივე მატჩებიდან შედეგიანად ავთამაშდით და გუნდმაც თანდათან აღმასვლა იწყო. ჩვენი კარგი თამაშის კვალობაზე იგი უფროდაუფრო გვიახლოვდებოდა და ახლა ლამის საფიცრად ვყავართ. ვაგეცინება, ისე ბავშვივით იქცევა...

**— ამასწინათ, „პარალიმნისთან" 0:1-ზე წაგებული მატჩის მერე, პრესკონფერენციაზე პროკოპი „კიზილასვილი, კიზილასვილი", გაიძახოდა... რა უნდოდა შენგან?**

— ჩემზე ამბობდა, ეგ რომ გვყოლოდა, არ წავაგებდითო...



დავით ყიზილაშვილი (მარცხნივ) „ომონია“ — „აპოლონის“ მატჩში

# უიღბლოც და იღბლიანიც

— ფეხი კიდევ გაწუხებს?

— „ანორთოსისთან“ მატჩის მეორე ტაიმში რომ არ შევეცვალე, შესაძლოა, ხეიბარიც დავრჩენილიყავი.

— ნუთუ ასე სერიოზულადაა საქმე?

— გუნდის ექიმმა მითხრა, მე კი გაგიკეთებ ნემსს და მომდევნო თამაშზე გამოსვლასაც შეძლებ, მაგრამ, პირობას გაძლევ, ეგ გაჭიმული კუნთი გაგიწყდება და სეზონის ბოლომდე ყავარჯნით ივლიო. კლუბმა მყის საზღვრებთში გამამგზავრა, ქეცბაიას გუნდის, აეკის ექიმმაც გამსინჯა და იგივე დამიდასტურა. მოკლედ, ორი ჩემპიონატის, ერთიც თასის თამაში გამიცდა.

— ზოგს რომ ჰკითხო, გერმანიასთან შენი არყოფნა ტრავმის ბრალი არ ყოფილა — ჩამოსვლა არ ისურვაო...

— ნაკრების ხელმძღვანელებს ჰკითხეთ — მალტის შეკრებაზე კლუბის [illegible] გვერდზე გადავდე და ნა[illegible]რებთან [illegible]. ჩემს იქ ყოფნაში „ომონიამ“ ძვირფასი ქულები დაკარგა, მე პრემიებიც მომიხსნეს და პროკოპმა ცხვირიც ამიბზუა. თუ ნაკრების ხელმძღვანელობა ჩათვლის, რომ ყიზილაშვილი საქართველოს ნაკრებს სჭირდება, კვლავაც სხვ მოვიქცევი...

— აქ რომ ჩვენები გერმანელებთან აგებდნენ, მანდ კვიპროსმა დანიას ძვირფასი ქულები დააკარგვინა. დაესწარი მატჩს ევროპის ჩემპიონთა მონაწილეობით?

— რა თქმა უნდა. დანიელთა მიმართ ჩემი დიდი სიმპათიის მიუხედავად, უნდა ვაღიარო, რომ კვიპროსელებმა მათ შანსი არ დაუტოვეს. ეგ კიდევ არაფერი, მსაჯმა კვიპროსს ორი ნაღდი პენალტი არ მისცა და დანიელთა კარში წესების სრული დაცვით გატანილი გოლიც არ ჩაუთვალა. ლაუდრუპები ისე „ამოკეტეს“, ფეხი არ გაანძრევინეს...

— სამწუხაროდ, სწორედ ასეთი ჟინი აკლდათ ჩვენებს 29 მარტს. გოჩა გოგრიჭიანი როგორ ხასიათზე დაბრუნდა?

— მკვდარი იყო კაცი. მეორე დღეა, სახლიდან არ გამოდის. მეც ვერიდები მის შეწუხებას...

— რამდენი გოლი გაიტანე?

— ჩემპიონატში 9, თასზე — 4.

...აქ უცებ დათომ ისე შეჰყვირა, ლამის ყურმილი გამივარდა ხელიდან...

— დათო, რა მოხდა?

— ვენაცვალე დიმა კუდინოვს. შენ რომ გესაუბრებოდი, ცალი თვალი ტელევიზორისკენ მეჭირა, დიმას „არისი“ „ანორთოსისს“, ჩვენს ძირითად კონკურენტს ეთამაშებოდა სტუმრად და ფრეს მიაღწია — 1:1. ეს კი ნიშნავს, რომ ახლა „ანორთოსისს“ სამი ქულით ვუსწრებთ („ომონიამ“ „აპოლონს“ 3:0 სძლია და 60 ქულით ლიდერობს გათამაშებას. მ.კ.). ახლა კი არა მგონია, რამე გადაგველობოს წინ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. დარჩენილ ექვს ტურში თავს მოვიკლავთ და ასეთ კარგ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ...

— თასზე როგორი პერსპექტივა გაქვთ?

— ნახევარფინალში „აპოელთან“ სტუმრად 2:3 წავაგეთ, ახლა ოთხშაბათს შინ ვიღებთ და მინიმალური ანგარიშით მოგების შემთხვევაში ფინალში გავდივართ. მე ექიმმა ნება დამრთო და ამ მატჩს უკვე ვითამაშებ...

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ გული არ გეთანაღრება, კვიპროსზე ხომ არ უნდა დაასრულო კარიერა?

— წინასწარ არ გეტყვი, მაგრამ რამდენიმე მიწვევა მაქვს სხვა ქვეყნებიდანაც, აქედან ოთხი — ძალიან ხელსაყრელი. ერთი იმის დარდი მაქვს, „ომონიას“ ხელმძღვანელობას როგორ ვუთხრა, გუნდიდან უნდა წავიდე-მეთქი. რაც შეეხება აქაურ ჩემპიონატს, ვერ წარმოიდგენ, როგორ ამაღლდა ფეხბურთის დონე...

— „ომონიას“ მატჩებს რომ ვუყურებ, ხან 8 ნომერი მაისური გაცვია, ხან — 10, ხანაც — 11...

— ხომ იცი, ჩემი ნომერი ათიანია. მაგრამ აქ რომ ჩამოვედი, ათზე დუდინი თამაშობდა. უცებ შევამჩნავდით და არც მიკადრებია, მაისური მომეცი-მეთქი. ახლა ამას უკვე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ...

— დუდინი ვერც ხორვატიის ნაკრებში ამოვაჩინე, ვერც იუგოსლავიისა. სადაურია?

— ბოსნიელი მუსლიმანია. ისე, სადაცაა, კვიპროსის მოქალაქეობას მიიღებს და კვიპროსის-ნაკრებში ითამაშებს. მეც არაერთხელ შემომთავაზეს, ჩვენი მოქალაქეობა მიიღეო...

— ალბათ დროა, ჩვენს ბიჭებზეც ჩამოვაგდოთ სიტყვა...

— ჩვენ კვირაში ხუთი-ექვსი დღე ერთად ვართ. კუდინოვის „არისი“ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის, ბოლო მატჩებიც კარგადაც თამაშობენ და თავსაც გადაირჩენენ. კერძევაძის „არადიპუს“ ალარაფერი ეშველება, გავარდნილია, როინს, კი ვფიქრობ, სხვა გუნდი აიყვანს. აქ კიდევ ერთი ქართველია, გოდერძი ნატროშვილი. მახსოვს, ბოლოს თქვენს გუნდში, ჟურნალისტთა „ჩემპიონში“ თამაშობდა. აქ ჩამოსვლამდე რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი პერიოდი გაიარა და ახლა ჩვენი „მოსისხლის“ ბანაკში, „ანორთოსისში“ ვარჯიშობს. ჯერჯერობით არ უთამაშია...

— მეტსახელად რას გეძახიან?

— კიზის.

— მაშ, დროებით დაგემშვიდობები, „კიზი“, წარმატებებს გისურვებ...

— გმადლობთ, თუ ჩემპიონები გავხდებით და თასსაც ავიღებთ, მერე სალაპარაკოც მეტი გვექნება...

მამუკა ქვარაცხელია

# რუსეთი

## რევიშვილი ვინ ყოფილა!

1 ტური, 1 აპრილი: **სპარტაკი (მოსკოვი) — ურალმაში (ეკატერინბურგი) 5:1, სპარტაკი (ვლადიკავკაზი) — ტექსტილშჩიკი (კამიშინი) 2:0, როსტსელმაში (როსტოვი) — კამაზ ჩალი (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:0, ტორპედო (მოსკოვი) — დინამო გაზოვიკი (ტიუმენი) 2:1, ჩერნომორეცი (ნოვოროსიისკი) — ცსკა (მოსკოვი) 1:3, ლოკომოტივი (მოსკოვი) — კრილია სოვეტოვი (სამარა) 2:1, როტორი (ვოლგოგრადი) — ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) 1:1, ჟემჩუჟინა (სოჭი) — დინამო (მოსკოვი) 0:1**

1 აპრილს გამართულ რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ქართველმა ლეგიონერებმა ისე იჲოჩალეს, „სპორტ-ექსპრესის“ 4 აპრილის ნომრის საფეხბურთო მიმოხილვა ლამის იყო მათ მიეძღვნათ. ეს ვრცელ-ვრცელი ციტატები იოლად დაგარწმუნებთ ამაში.

„გაუგებარია, როგორ წააგო საქართველოს ნაკრებმა სამი დღით ადრე გერმანიასთან 0:2 ისეთი მოთამაშეებით, როგორნიც არიან შელია და რევიშვილი. ყოველ შემთხვევაში, გაზაევის გუნდში ეს ორი ქართველი უბრალოდ დაფრინავდა მინდორზე და ისეთ გამოზომილ გადაცემებს აკეთებდა, რომ რომელიმე სპარტაკელი უეჭველად ერთი ერთზე გადიოდა. ამასთან, შელია მევეც იყო „მეორე სართულზე“, რევიშვილი კი ისეთ ფინტებს აკეთებდა, ამ საქმის ოსტატ სულეიმანოვსაც კი შეშურდებოდა. ორი-სამი კაცის მოტყუება თავის ფლანგზე რევიშვილს ძალდაუტანებლად შეეძლო...

...ის, რასაც ბოციევი და რევიშვილი სჩადიოდნენ, არანაკლებ აღტაცებას იწვევდა ტრიბუნებზე, ვიდრე იანოვსკის გოლი... მერამდენედ გაძვრა რევიშვილი თავის ფლანგზე მცველთა ჯგროში და ზუსტი პასი მიაწოდა იანოვსკის, რომელიც ყველაზე მაღლა აზტა და თავით მეორე გოლი გაიტანა...

ტექნიკით სულეიმანოვთან, რევიშვილთან და 18 წლის ბოციევთან, რომელსაც ოსური ფეხბურთის იმედს უწოდებენ, ჩვენს ჩემპიონატში ცოტა თუ მოვა. ამას მიუმატეთ ბრწყინვალე დუეტი — თეთრაძე-თედეევი, ჯერ კიდევ თბილისის „დინამოში“ რომაა ნაცადი, ჰაერში ყველაფრის შთანმთქმელი შელია, ახლახან დაბრუნებული „დისპეჩერი“ კასიმოვი და შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ გაზაევის გუნდისთვის ოქროს მედლები არცთუ მიუღწეველი ოცნებაა...“

იქვე დაბეჭდილია ინტერვიუ გაზეთის აზრით მატჩის საუკეთესო ფეხბურთელ რევიშვილთან:

„იმაში, რომ რევიშვილი ამ მატჩში საუკეთესო იყო, ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება. ამიტომაც მას, მატჩის გმირს, მეტრზე მეტი სიმაღლის თასი გადაეცა. მაყურებელი კი ისე აცილებდა, ნათელი გახდა: ვლადიკავკაზს ახალი კერპი ჰყავს.

— ელოდით ასეთ იღბლიან დებიუტს?

— არა. ოთხშაბათს ძნელი მატჩი გვქონდა გერმანიასთან და ძალზე დავიღალე.

— მეორე ტაიმში გაცილებით ძლიერად ითამაშეთ.

— გაზაევმა შესვენებაზე დაცვითი ფუნქციები მომიხსნა და მეც შეტევაზე გადავერთე.

— მატჩის წინ რა გითხრათ გაზაევმა?

— მითხრა: „მთელი მარჯვენა ფრთა შენი უნდა იყოს“. მე აქედან მევალებოდა გოპლაჩევისა და სულეიმანოვის გადაცემებით მომარაგება.

— მომდევნო მატჩშიც ასე ითამაშებთ?

— აი, აღვიდგენ ჩემს ფორმას ორი ურთულესი მატჩის შემდეგ და მერე...

რევიშვილის თანამემამულემ, გრიშიკაშვილმა მითხრა — „ეს კიდევ არ არის რევიშვილის საუკეთესო მატჩი“. მაშასადამე, ჩვენს ჩემპიონატში ვალერი კარპინის ესპანეთში წასვლის შემდეგ ბოლოსდაბოლოს გამოჩნდა მაღალი კლასის მარჯვენა ნახევარმცველი...“

დასასრულს დავამატებთ, რომ რევიშვილმა ათბალიანი სისტემით ყველაზე მეტი — 7 ბალი მიიღო, შელიამ — 6,5. ამ მატჩს 37 000 კაცი დაესწრო, რაც რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში სარეკორდო ყოფილა.

მოსკოვში თავი გამოიჩინა კიდევ ერთმა ქართველმა ლეგიონერმა, შევარდენყოფილმა მამუკა მინაშვილმა. „ლოკომოტივთან“ შეხვედრის 35-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:0 იყო: „ბურთი მინაშვილს მიუვიდა. აქტიურად მოთამაშე სამარელთა ახალწვეულმა დაუფიქრებლად დაარტყა 23 მეტრიდან... ნარინჯისფერი ბურთი ბადეში გაეხვა“. თუმცა სამარელებმა მაინც წააგეს — მატჩის მიწურულს კოსოლაპოვმა პენალტი გაიტანა.

დევაძის ოსტატობაში გერმანიასთან მატჩმაც დაგვარწმუნა. ეტყობა, აკაკის როსტოვშიც არ გააჩერებენ დიდხანს. კვლავ რუსი კოლეგის სიტყვებს დავიმოწმებ:

„გორბატენკოს უძლიერესმა დარტყმამ მაყურებელს საშუალება მისცა შეეფასებინა ახალი მეკარის — დევაძის კლასი, რომელმაც ბურთი კუთხურზე მოიგერია“. დევაძეს ამ მატჩში არაერთი ბურთი მოუგერიებია და მშრალადაც შეუნახავს კარი, მეორე ქართველმა, სპანდერაშვილმა კი საჯარიმოდან თავზე დაასვა ბურთი მასლოვს და მეორე გოლი გაატანინა. როსტოვშიც დასწრების რეკორდი დამყარებულა — 13 ათასი კაცი „როსტსელმაშის“ სტადიონს მანამდე არ უნახავს..

მარცხით დაიწყო ჩემპიონატი მეორე ლიგის დასავლეთ ზონაში გივი ნოდიას „ლოკომოტივმა“: პეტერბურგელებმა 0:1 წააგეს პროხლადნიში „კავკაზკაბელთან“. სოხუმის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშის, აფხაზი ფეხბურთელის ჯუმა კვარაცხელიას გოლმა კი ელისტის „ურალანს“ (I ლიგა) დიდი ანგარიშით (3:0) გაამარჯვებინა შინ იაროსლავლის „შინიკთან“.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ თავისი პირველი უკრაინული გოლი გაუტანია ფოთელ ივანე ჯულელს. მის გოლს თანაგუნდელებმა მეორეც მიაყოლეს, „ტემპმა“ 2:0 მოიგო და ფსკერიდან ორი ადგილით ზემოთ აინაცვლა.

# თურქეთი

## წესის აგება 12 აპრილს?

თასის ფინალის პირველი მატჩი, 5 აპრილი: **გალათასარაი — ტრაბზონსფორი 2:3.**

სტამბოლში ტრაპიზონელთა მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა სწორი ტაქტიკა აირჩია: ყრუ დაცვა და კონტრშეტევებზე თამაში. აქ კი მთავარი წინწაწეულ ჰამისა და შოთა არველაძეს უნდა შეესრულებინათ. მე-11 წუთზე „გალათასარაის“ მცველმა მოედნის ცენტრში თავით უხეიროდ მოიგერია ბურთი, „ტრაბზონის“ ათიანმა ჰამიმ მყის ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში შოთამ აიშვა. ჯერ კონტრშეტევაზე გუნდის კაპიტნის, [illegible]ის მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს ჩაუწვა და მეორე გოლი შეაგდო, ხოლო მას შემდეგ, რაც „გალამ“ ორიოდ წუთში ერთი გოლი გაქვითა, 86-ე წუთზე კი საეჭვო პენალტით ანგარიშიც გაათანაბრა, 91-ეზე გურჯმა ლეგიონერმა ზედ პირით ხაზთან, „ლომთალომის“ საჯარიმოს მარცხენა კუთხეში ცაციით ჩამოიღო ბურთი, სტამბოლელ მცველს თავისი „უელსური“ ფინტი გაუკეთა და ჰამის კანფეტივით პასი მიართვა ცარიელი კარის წინ. ამანაც მთელი ბოლმა ამ დარტყმაში ჩადო და ორიოდ მეტრიდან ლამის კარის ბადე გახია — 3:2. საფინალო სასტვენის შემდეგ „ტრაბზონის“ ქომაგებმა, მთელი თამაში ღრიალში რომ გაატარეს, თავიანთი კერპების მაისურებზე დაიწყეს ნადირობა, და თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ სტამბოლში გაგუდულ „ლომთალომს“, „ტრაბზონი“ შინ, 12 აპრილს, საპასუხო მატჩში ალბათ საბოლოოდ მოაღრჩობს.

თურქეთის ჩემპიონატში კი „ტრაბზონსფორმა“ 28-ე ტურში სტუმრად 2:0 „ვანსფორი“ დაამარცხა და მეორე ადგილზე მყოფი 5 ქულით „გალათასარაის“ უსწრებს, ექვსით — „ფენერბაჰჩეს“, თავად კი ლიდერ „ბეშიქთაშს“ ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე 5 ქულით ჩამორჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მალაიზიურ-სინგაპურული** [illegible]ლთაბანდობის კიდევ ერთი მონაწილე სცენეს დამნაშავედ. იგია მალაიზიის თასის ამჟამინდელი მფლობელის, მაგრამ ამ შეჯიბრებაში [illegible] ნგაპურის გუნდის [illegible], რომელიც [illegible] ოლონდა[illegible] აბასს ჩეხ მიხალ ვანასთან კავშირი ბრალდება. ეს ის ფეხბურთელია, ვისი მხილებითაც დაიწყო მთელი ეს საქმე. აბასი სასამართლომ თავდებით გაათავისუფლა, მაგრამ 48 ათასი გირვანქა კი გადაახდევინა.

**უელსის** ფეხბურთის ასოციაცია სასამართლოში უჩივის „ნიუპორტსა“ და კიდევ ორ ნაკლებად ცნობილ კლუბს. საქმე ისაა, რომ უელსის 10 ბობოლა კლუბისაგან განსხვავებით, ტრადიციულად ინგლისის საფეხბურთო ლიგაში რომ თამაშობენ, ეს კლუბები თურმე უარობენ უელსის ლიგაში თამაშს და თვალი ინგლისის ნახევრად-პროფესიული ლიგებისაკენ უჭირავთ. არადა, ბოლო ხანებში უეფა-მ უელსის ლიგა ევროპის სხვა ქვეყნებისას გაუთანაბრა და მის გამარჯვებულს თეორიულად ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მოხვედრაც კი შეუძლია, ინგლისის ლიგას შეფარებული უელსური კლუბები კი ევროპულ ტურნირებზე სხვაფრივ ვერ მოხვდებიან, თუ ინგლისურ შეჯიბრებებში სათანადო ადგილებს არ დაიჭერენ.

### ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** საფეხბურთო სამყაროს იმდენად მოსდებია ნარკომანია, რომ ფეხბურთის ასოციაციას ლონდონის ერთ-ერთ ოტელში გაუმართავს კონფერენცია, რომლის დევიზიც ყოფილა „მზად ვიყოთ საფეხბურთოთო!“ კონფერენციას დასწრებია ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი, მოხსენებებით კი გამოსულან პოლ მერსონი („არსენალი“) და კრის არმსტრონგი („კრისტალ პალასი“), რომლებიც თავის დროზე ნარკომანიაში უმხილებიათ, მერე კი გამოსასწორებელი კურსი გაუვლიათ და დიდ ფეხბურთს დაბრუნებიან. თავყრილობის სულისკვეთება ცხადად ჩანს ფეხბურთის ასოციაციის მთავარი აღმასრულებლის, გრემ ქელის განცხადებაში: „ჩვენი მიზანი ცდომილთა დასჯა კი არაა, არამედ მათი ცხოვრების ჯანსაღი წესისკენ მობრუნებაო“.

**საფრანგეთში** ერთპიროვნულმა ლიდერმა „ნანტმა“ გააპროტესტა ბოლო ტურში „ლანსთან“ ფრედ (1:1) დამთავრებული თამაში, აქაო და მსაჯმა სამი მოთამაშე სულ ტყუილად გაგვიძევა და მეორე ნახევარში სწორად გატანილი ბურთიც არ ჩაგვითვალაო.

**ბანელი** ენტონი იებოა „ლიდს იუნაიტედში“ დარჩება იმის და მიუხედავად, რომ ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ მისი გამგდები იუპ ჰაინკესი გადადგა. აფრიკელი ფორვარდი „ლიდსში“ თებერვლიდან თამაშობს და უკვე 7 გოლის გატანაც მოუსწრია, ამით კმაყოფილი იორკშირის კლუბი კი 3 400 000 გირვანქიან სრულ ტრანსფერს სთავაზობს.

**ინგლისს** უთუოდ ახალი ჩემპიონი ეყოლება. მას შემდეგ, რაც კვირას „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ ვერ მოუგო „ლიდსს“, მეტად დაწინაურდა „ბლექბერნი“, რომელმაც სამშაბათს, 4 აპრილს სტუმრად, ლონდონის „ლოფტუს როუდზე“ 1:0 დაამარცხა „ქუინზ პარკ რეინჯერსი“. ბლექბერნელთა მცირედ ტრავმირებული მთავარი ბომბარდირი ალან შირერი ამ დღეს ერთობ დათრგუნვილი გამოიყურებოდა, მაგრამ ზედ ჩემპიონატის ფინიშზე ათამაშდა კრის სათონი. 65-ე წუთზე სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი ბურთი. ამ მოგების შემდეგ „ბლექბერნი“ თამაშებით გაუთანაბრდა „მანჩესტერ იუნაიტედს“, მაგრამ 8 ქულით უსწრებს, პირველობის ბოლომდე კი 6 ტური რჩება. იმ დღის კიდევ ერთი თამაში ასე დასრულდა: „კრისტალ პალასი“ — „ასტონ ვილა“ 0:0.

# მესამე ტყუპის-ცალი მატჩი

ჯერჯერობით არ გამართლდა იმათი ვარაუდი, ვინც მიიჩნევდა, რომ გამოცდილი არბიტრების მოედანზე არყოფნის გამო ესა თუ ის მატჩი უცილობლად ჩაიშლებოდა. ხომერიკმა სიტყვა შეასრულა და ამ შეხვედრაზე კომისრად მოგვევლინა, გელოვანმაც მას მიბაძა, ოღონდ რიგით მაყურებლობასღა გამოჰკრა ხელი. ქურიძე და ავალიშვილი კი კვლავ სოლიდურად გამოწყობილნი საპატიო ხალხის სექტორიდან უცქეროდნენ თამაშს.

მატჩი არ ჩაშლილა. არც რამე უბედურება მომხდარა. ოღონდ ეგრე ჩანდა, მსაჯები ასაფეთქებლად გამზადებულ ნაღმზე ისხდნენ, მცირე განძრევის შემთხვევაშიც თავის საქმეს რომ აკეთებს. ჩვენ არ შევუდგებით მათი საქმიანობის გარჩევას, ამისთვის ფედერაცია არსებობს, თუმცაღა მრავლად იყო საეჭვო ჯარიმები, გარბენები, და თვით არასწორი დაფარების გამო ჩათვლილი ბურთებიც კი. ისე, საეჭვო რამეები რომელ თამაშს არ ახლავს თან, მაგრამ გააჩნია, ვინ აფიქსირებს მათ...

ერთი სიტყვით, ტიტულოვან მსაჯთა არყოფნით იმ დღეს ქვეყანა არ დაიქცა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ეს ამბავი ჩვენი კალათბურთის არცთუ მაღალ დონეს უფრო მეტად დაამცირებს.

ერთხელაც შევეხოთ მსაჯობას. ორგანიზატორებმა ალბათ იფიქრეს, ამ არბიტრების ხელში ემანდ რამე არ მოხდესო და წლეულს პირველად სპორტის სასახლეში პოლიციელები გამოჩნდნენ. მათი უფროსის თქმით, ასი კაცი — ჩინიანნი თუ უჩინონი. მართალი გითხრათ, მათი მოსვლა არც იყო აუცილებელი — ორი ათას ხუთასამდე მაყურებელი რიგიანად იქცეოდა, ხოლო თუ მოედანზე გინდა ვინმეს გალახვა — ისე მოასწრებ, პოლიციელი კი არა, „სპეცნაზიც" ვერ შეგიშლის ხელს.

ამ გუნდების რიგით მესამე შეხვედრა ყველაზე პრინციპული იყო: „ვითას", მოგების შემთხვევაში უჩნდებოდა შანსი (თუკი მეტოქეს მომდევნო შეხვედრაშიც დაამარცხებდა), ფინალურ ოთხეულში პირველ გუნდად შესულიყო და ნახევარფინალში შედარებით სუსტ მეტოქეს შეხვედროდა. სამაგიეროდ, თუ „კაქტუსი" იძალებდა, ამის უფლება გარანტირებული ექნებოდა („ვითასთანაც" და ორივეჯერ „დინამოსთანაც" რომც წააგოს). ჩემპიონის შანსები უფრო სოლიდური იყო: მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი კორძაძე ფეხის მოტეხვის შემდეგ სრულფასოვნად ვერ ვარჯიშობს, გუნდს დაემატა ტურაშვილი და პირველად ამ სეზონში სათადარიგოთა სკამი თორმეტ მოთამაშემდე შეივსო. „კაქტუსს" კი ჩხეიძე აკლდა, რომელსაც გრიპი შეჰყროდა და მატჩის დროს 39 გრადუსი სიცხით სახლში იწვა. ვერც ნაცვლიშვილს ჰქონდა საქმე კარგად: ისრაელში ნატკენი კოჭი „აზოტთან" კიდევ ერთხელ ამოუტრიალდა და მატჩის წინ მითხრა, ცალი ფეხით თუ ვითამაშებო.

სასტარტო ხუთეულში ჩხეიძე უნივერსალმა აბრამიძემ შეცვალა, ხოლო ცენტრად ოთიურიძე გამო-



ირაკლი ბაქრაძე და ვახტანგ ნაცვლიშვილი

ვიდა. ნაცვლიშვილმა წინა მატჩში ბაქრაძისგან მიღებული გაკვეთილი გაითვალისწინა და დაცვაში თავად იედევნა ირაკლის. ამან კი გაამართლა, მაგრამ ორმოცაძემ, კოკოლიშვილმა და ბეჟანიშვილმა ოთიურიძეს იოლად მოუგეს ფარი და მე-7 წუთისთვის 15:6 დაწინაურდნენ. „ვითას" ამ დროისთვის უკვე 10 კაცი ჰყავდა მოედანზე გამოყვანილი (ტაიმის ბოლოს — 11), ხოლო მეტოქე მხოლოდ შვიდ კალათბურთელს ათამაშებდა. იმ მონაკვეთში, რომელიც „ვითამ" 9:0 მოიგო, ნაცვლიშვილმა კოკოლიშვილს სამი პერსონალური მიაღებინა, ბაქრაძეს — ორი (მატჩის შემდეგ ეს მაჩვენებლებია ასეთია: კოკოლიშვილი — 4, ბაქრაძე —

| საქართველოს ჩემპიონატი<br>კაქტუსი — ვითა 90:84 (47:51)<br>თბილისი. სპორტის სასახლე. 4 აპრილი<br>მსაჯები: ს. მალალაშვილი, ლ. ინწკირველი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
| | | | | | სულ | + | |
| 4 თორთლაძე | 17 | 3 | 1 | — | 8 | 7 | 2 |
| 7 ხოშტარია | 8 | — | — | — | 3 | 2 | 3 |
| 12 აბრამიძე | 4 | 2 | 2 | — | — | — | 1 |
| 13 ვ.ნაცვლიშვილი | 23 | 14 | 3 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 11 ოთიურიძე | 16 | 5 | 2 | — | 6 | 4 | — |
| 6 ულენტი | 10 | 5 | 1 | — | 6 | 4 | 3 |
| 14 ბერძენიშვილი | 12 | 5 | 4 | — | 10 | 8 | 4 |
| სულ | 90 | 34 | 13 | 4 | 38 | 28 | 15 |
| ვითა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
| | | | | | სულ | + | |
| 9 ჩერქეზიშვილი | 22 | 1 | 1 | — | 4 | 3 | 3 |
| 13 დადიანი | 6 | 2 | 1 | — | — | — | 2 |
| 6 კობეშავიძე | 6 | — | 1 | — | — | — | — |
| 5 ბაქრაძე | 1 | 8 | 4 | — | 2 | 1 | 4 |
| 20 ორმოცაძე | 15 | 8 | 1 | — | 1 | 1 | 5 |
| 14 კოკოლიშვილი | 7 | 5 | — | — | — | — | 5 |
| 12 ბეჟანიშვილი | 4 | 3 | — | — | — | — | 5 |
| 7 ტურაშვილი | — | 1 | — | — | — | — | 2 |
| 8 სანაძე | 20 | 1 | 1 | — | 2 | — | 2 |
| 4 ვაშაკიძე | 3 | 3 | — | — | — | — | — |
| 15 ჩუბინიძე | — | 1 | — | — | — | — | 2 |
| სულ | 84 | 33 | 9 | — | 9 | 5 | 30 |

2, ორმოცაძე, ჩუბინიძე, ბეჟანიშვილი — თითო-თითო). ცვლილება მოხდა „კაქტუსის" დაცვაში: ნაცვლიშვილმა ბაქრაძე ოთიურიძეს ჩააბარა, ხოლო თავად ფარის „გაწმენდა" იწყო — მართალია, ორჯერ ეფექტურად დააფარა, მაგრამ მსაჯებმა ჩათვალეს, რომ ბურთი უკვე კალათის თავზე იყო და ვატოს გარჯაც ფუჭი აღმოჩნდა. მანამდე კი ხოშტარიამ და ულენტმა ანგარიში 13:15-მდე შეამცირეს.

ამ მომენტამდე „ვითას" „ხონელი ავტომატი" — გია სანაძე ერთთავად სამქულიანის სასროლ პოზიციაში ცდილობდა გასვლას. სანამ მეტოქე იმას მარჩიელობდა, ბოლო მომენტში სანაძისთვის ვის დაეფარებინა, ამან ტაიმის ბოლომდე 5 სამქულიანი ჩააგდო (სულ მატჩში — 6) და სამჯერ ჩერქეზიშვილსაც გააკეთებინა იგივე. ანგარიში 41:28 გახდა და „ვითას" მოგების შანსი ერთიორად გაიზარდა. „ვითას" ამდენი სამქულიანი „კაქტუსის" სნაიპერისა და გამთამაშებლისთვის დავით თორთლაძისთვის ხელთათმანის გადაგდების ტოლფასი იყო. მართალია, ამან მხოლოდ ორჯერ ივარგა სამქულიანი დისტანციიდან, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ თამაში არია და კლასიკური სქემებით მოთამაშე მეტოქეს წონასწორობა დაურღვია. ამასობაში ნაცვლიშვილმა და ბერძენიშვილმა თითო ბურთი ჩაჭრეს, თორთლაძე გარღვევაზე გავიდა, მარცხნიდან შეუტია და ტაიმიც 51:47 დასრულდა.

შესვენების შემდეგ „კაქტუსი" უფრო ყურადღებით იყო: ნაცვლიშვილმა ორი ბურთი თავად ჩააგდო, ორჯერაც დააფარა — პირველად ხოშტარიას გადაუგდო ბურთი შეტევის მარჯვენა მხარეს, მეორედ კი ოთიურიძე დატოვა ცარიელ ფართან. მანამდე კი აბრამიძემ იყოჩაღა — 57:53. ფარქვეშ რომ ვერაფერი გაწყო, „ვითამ" სამქულიანებს მიმართა და წარმატებითაც: ვაშაკიძემ, კობეშავიძემ და კოკოლიშვილმა სხვადასხვა პოზიციებიდან დაბომბეს მეტოქის კალათი. როცა მატჩის დამთავრებამდე 10,38 წუთი რჩებოდა და „ვითა" 71:69 იგებდა, ლიპარტელიანმა მოედანზე მყოფ სნაიპერებს სანაძე და ჩერქეზიშვილი მიაშველა. ამ მომენტიდან 3 წუთისა და 23 წამის მანძილზე, ვიდრე ბერძენიშვილმა ორი საჯარიმო არ ჩააგდო, ანგარიში უცვლელი იყო. შემდეგ ნაცვლიშვილმა გაიბრწყინა: ჯერ დააფარა, შემდეგ იგივე ბურთი ჩაჭრა და ჩააგდო. ბერძენიშვილმა ამას ერთიც დაამატა, სამაგიეროდ, დაცვაში შეცდა და კოკოლიშვილმა და ორმოცაძემ ანგარიში გაათანაბრეს. შემდეგ ბერძენიშვილმა კვლავ გამოიყენა ორი საჯარიმო, თუმცა მანამდე ხუთჯარიმამიღებულ ბეჟანიშვილს ერთი წუთის ინტერვალით ორმოცაძე და კოკოლიშვილი მიყვნენ. ფარი უკვე „კაქტუსისა" იყო და სხვაობაც ოთხ ქულამდე ავიდა, მაგრამ ვითელთა კაპიტანმა ჩერქეზიშვილმა პირველი მატჩის დარად ამჯერადაც ლიდერობა იკისრა და ორი ბურთით ანგარიში 82:82 გახადა.

აქედან მოყოლებული მესამე მატჩი ტყუპისცალივით დაემსგავსა წინა ორს. ჯერ „ვითაში" საუკეთესომ — სანაძემ ორი საჯარიმო აცილა (გაიხსენეთ ბაქრაძის მაგალითი წინა მატჩიდან). შემდეგ ულენტისა და კობეშავიძის „ურთიერთპატივისცემა" — ანალოგიურ სიტუაციებში ბურთების გაფუჭება. ოთიურიძე — 84:82. ჩერქეზიშვილის ორი საჯარიმო — 84:84. ახლა თავად ჩერქეზიშვილის დაჯარიმება თორთლაძის წინააღმდეგ — 85:84. „ვითას" ნაჩქარევი სროლა, ბერძენიშვილის მოხსნა და ულენტის მიერ ასევე ერთი საჯარიმოს გამოყენება — 86:84. სანაძემ ნახტომიდან სცადა სამქულიანის სროლა — ბურთი რგოლს მოხვდა. მოთამაშეებს ისე ჰქონდათ ერთმანეთისთვის ბლოკებით გზა გადაღობილი, რომ აუტისკენ გადავარდნილი ბურთისკენ ვერავინ დაიძრა. დამთავრებამდე 23 წამით ადრე ჩერქეზიშვილი კვლავ თორთლაძესთან ჯარიმდება — 88:84. კობეშავიძემ, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდება, ისეთი სამქულიანი ისროლა — ბურთი ულენტს დარჩა და ჩერქეზიშვილის წყალობით მიღებული ორი საჯარიმოს უფლებაც კარგად გამოიყენა.

მიხეილ დადიანი

გია ახალაძის
ფოტო

# ქარაბაკი ხასიათზე იყო

ამ შეხვედრაში საქართველოს ორგზის ჩემპიონმა ორი უსიამოვნო პირადი რეკორდი დაამყარა: აქამდე ზედიზედ ორი მატჩი არასდროს წაუგია და არც ოთხი წაგება ჰქონია ოდესმე სატურნირო ცხრილში. თანაც, იმდენად სწორხაზოვანი ტაქტიკით ითამაშა, რომ არათუ „დინამოს", ერთ-ერთ ლიდერს, არამედ უფრო დაბალი რანგის გუნდსაც დაამარცხებინებდა თავს. მაგრამ იმ მატჩში უფრო მნიშვნელოვნად ორი ამბავი გვეჩვენა: მოთამაშეთა და მსაჯების ურთიერთობა და ლევან ქარაბაკი.

პირველ წუთებში, როცა ორივე გუნდის წევრებმა ჯერ მხოლოდ პატარ-პატარაზე „უკბინეს" არბიტრებს, ერთი მათგანი სამდივნოსთან მივიდა და კომისარს უთხრა: „თუ ასე გაგრძელდება, თამაშს შევაჩერებ". სანამ სამდივნო დუმდა, „ვითას" მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმა უპასუხა: თამაშს კი ნუ შეაჩერებ, დამნაშავეს ტექნიკური მიეციო. საინტერესოა, რომ იმ კონკრეტულ მომენტში დამნაშავე სწორედ ვითელი იყო. ლიპარტელიანისთვის რომ დაეჯერებინათ, მსაჯებს იქნებ ასე არც გასჭირვებოდათ. სატექნიკურო კი იცოცხლე, ბევრი რამ და ვინმე იყო ორივე მხრიდან. ცხადია, დასაჯარიმებელია მოთამაშე, რომელიც მსაჯს ეუბნება: „ხელებს რომ იქნევ, სჯობია თვალები გაახილო", ან „მერე შეგაგინებ, გეწყინება და იტყვი, ჯარიმა მაგიტომ მივეციო", ანაც „სუ არ უნდა მაგას, სვისტოკში ჩასტვინე, აბა რისთვის გინდა". იყო უფრო ზრდილობიანი მიმართვებიც: „მეტი რაღა უნდა მიქნა, იარაღს ხომ ვერ მესვრი", „ისე შენ გაიხარე, როგორც ეს ჯარიმა იყო" და კიდევ ოქროპირობის მრავალი ნიმუში, რომელთა გაზეთში მოყვანა, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ამის აღკვეთა პირველივე შემთხვევისთანავე შეიძლება, ოღონდ, ალბათ, იტალიის, ესპანეთის, ან სხვა მსგავსთა ჩემპიონატში.

ახლა კი ქარაბაკზე. თუ ხასიათზეა, ამ 18 წლის ბიჭის შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუ ფარქვეშ შეუშვებ, აიწევა და ჩააგდებს. თუ წინ დაუდგები, ოდნავ გვერდზე გავა და „კაუჭს" ან „ნახევარკაუჭს" სტყორცნის. თუ ორი მხრიდან დაკეტავ, ახტება და ჩაგიტენის. თუ სამწამიან ზონაში არ შეუშვებ, ზემოთ ამოიწევა და სამქულიანს მოათავსებს. ბოლოსდაბოლოს, თუ ისე დაკეტე, ვერაფერი ზემოჩამოთვლილი რომ ვერ გააკეთოს, კარგ პასს მაინც მისცემს. ახლა ვიღაც მეტყვის, რეებს მიჰქარავ, ეგეთები მხოლოდ ჯორდანს შეუძლიაო. კი ბატონო, ქარაბაკი ჯორდანი არ არის, მაგრამ არც საქართველოს ჩემპიონატია NBA-ის ჩემპიონატი და ლევანს არც ბარკლის და არც მელოუნის მსგავსი ურჩხული იჭერს. ასე იყო თუ ისე, ამ მატჩში ქარაბაკმა, რაც ზემოთ ითქვა, ყველაფერი გააკეთა და პირადად მოუგო „ვითას".



ლევან ქარაბაკი დადიანისა და ორმოცაძის გარემოცვაში

„ვითამ" ისეთი თამაში შესთავაზა მეტოქეს, ეს უკანასკნელი უკეთესს ვერც ინატრებდა — პრესინგს არ მიმართა და ბურთს ბოლომდე ათამაშებინებდა. „დინამომ" ძლევნი მიიღო და თავად ჩემპიონის ყაიდაზე ათამაშდა: სამქულიანი ხაზის პერიმეტრზე ბურთს ათამაშებდა და როგორც კი ქარაბაკი გაიხსნებოდა, პასს აძლევდა. ამან ის მოიტანა, რომ „დინამო" 15:7 დაწინაურდა, ხოლო ლევანს 11 ქულა ჰქონდა გაკეთებული. ამ დროს „ვითას" რიგებში გამოჩნდა ბაქრაძე და ყველამ იფიქრა, ქარაბაკის პარპაშს ბოლო მოელე-

| საქართველოს ჩემპიონატი<br>დინამო — ვითა 97:93 (45:35)<br>თბილისი. სპორტის სასახლე. 5 აპრილი<br>მსაჯები: ს. მალალაშვილი, ა. როსტომაშვილი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
| | | | | | სულ | + | |
| 6 ცაგარეიშვილი | 11 | 2 | 4 | — | 12 | 9 | 4 |
| 5 მაისურაძე | 15 | 6 | 6 | — | 2 | 1 | 4 |
| 12 ქარაბაკი | 43 | 10 | 1 | — | 9 | 8 | 3 |
| 4 ცხვედიანი | 9 | 11 | 1 | — | 2 | 2 | 2 |
| 8 გ. ვაშაკიძე | 15 | 4 | 1 | — | 2 | 2 | 5 |
| 11 სხიერელი | — | — | — | — | — | — | — |
| 13 კილაძე | 4 | 1 | — | — | 4 | 2 | 1 |
| სულ | 97 | 34 | 11 | — | 31 | 24 | 19 |
| ვითა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. | | პერს. |
| | | | | | სულ | + | |
| 9 ჩერქეზიშვილი | 22 | 1 | 3 | — | 4 | 3 | 2 |
| 13 დადიანი | 4 | 1 | 3 | — | — | — | 2 |
| 8 სანაძე | 24 | 1 | 3 | 1 | 4 | 3 | 5 |
| 14 კოკოლიშვილი | 6 | 7 | 3 | — | 2 | 2 | 5 |
| 20 ორმოცაძე | 2 | 7 | 1 | 1 | — | — | 2 |
| 7 ტურაშვილი | 5 | 1 | — | — | — | — | — |
| 5 ბაქრაძე | 7 | 8 | 3 | — | 8 | 5 | 5 |
| 6 კობეშავიძე | 23 | 2 | 1 | — | 6 | 4 | 3 |
| სულ | 93 | 28 | 17 | 2 | 24 | 17 | 24 |

ბაო. მოულოდნელად, ირაკლიმ გურამ ვაშაკიძის მეურვეობა დაიწყო, ხოლო მისი გუნდი კვლავინდებურად ზონურ დაცვას ამჯობინებდა. შესვენებამდე 6,33 წუთით ადრე „დინამო" წინ იყო — 35:18, ქარაბაკი სულის მოსათქმელად სკამზე დაჯდა, თუმცაღა 23 ქულა უკვე გაენაღდებინა.

ჩემპიონი ამოჩემებულივით მისდევდა ერთ ტაქტიკას — სამქულიანებს. ბოლოსდაბოლოს, ეს საქმე უკეთ აეწყო: ტურაშვილმა, კობეშავიძემ და ჩერქეზიშვილმა ერთბაშად 8 ქულა გააბათილეს. აქ ბაქრაძემ თავი დაანება ცხვედიანს, ვისი მეჯვარეცაა და დაბრუნებულ ქარაბაკს აედევნა. ამან კიდევ 6 ქულა კი გააკეთა, მაგრამ ირაკლის ხელი რომ არ შეეშალა, უარესსაც იზამდა.

სავარაუდო იყო, რომ მეორე ტაიმში „ვითა" ბეჟანიშვილისა და ჩუბინიძის გამოსვლით უფრო „გამაღლდებოდა", მაგრამ ამათ ამ დღეს თამაში არ ეწერათ, ხოლო ჩემპიონი ვერაფრით შეელია სამქულიანების ტაქტიკას. ასეთი ბურთები კი ყოველთვის ხომ არ ჩავარდება? ფარზე ხომ ლაპარაკიც არ იყო: ვაშაკიძემ მისი მისადგომები საგულდაგულოდ გადაკეტა, ცხვედიანი ბურთს ბურთზე ხსნიდა, ხოლო მაისურაძე საიდანღაც გამოუხტებოდა ხოლმე მეტოქეს, წაართმევდა ბურთს და გრძელი პასით ხან ვინ გაჰყავდა გარღვევაზე, ხან ვინ. ამის შედეგად შუა ტაიმში ანგარიში 70:53 გახდა და ლიპარტელიანმა საშველად წუთშესვენებას მოუხმო. ცხადია, დავალება ერთი იყო — ზემკაცრი პრესინგი მეტოქის მოედანზევე, შემდეგში კი... კვლავ სამქულიანები (საბოლოოდ, სანაძემ 5 სამქულიანი ჩააგდო, კობეშავიძემ — 4, ჩერქეზიშვილმა — 3, ტურაშვილმა — 1). პრესინგმა არნახულად გაამართლა: „დინამომ" ზედიზედ ხუთჯერ დაკარგა ბურთი ერთნაირად — არტაზუსტი პასით აუტში გადააგდო. თანაც, ეს მოხდა სულ რაღაც წუთნახევარში. დინამოელებმაც შეუწყვეს ხელი საკუთარ დაკნინებას: ცაგარეიშვილი და მაისურაძე ჯიუტად, მაინცდამაინც იქ ცდილობდნენ გასვლას, სადაც „ვითას" ხაფანგი ჰქონდა დაგებული, ხოლო გავარდნილი ვაშაკიძის ნაცვლად შემოსულმა კილაძემ ნერვები ვერაფრით დაიოკა და ვერც ბურთი დაიჭირა ხელში. კობეშავიძესაც ეს უნდოდა: ზედიზედ სამ შეტევაში ექვსი ქულა გააკეთა და ანგარიშიც 6 ქულამდე შემცირდა. გარდატეხა გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ქარაბაკი აქ იყო: ბურთიც ჩააგდო და საჯარიმოც, მეტოქის უხეშობის რომ დაიმსახურა. „ვითამ" პრესინგი [illegible] გააგრძელა და მას შემდეგ, რაც [illegible]ელიანმა და კობეშავიძემ გარღვევები გაცვალეს, „დინამო" 86:82 იყო წინ.

კვანძის გახსნა აქ დაიწყო. ქარაბაკმა სამქულიანი ისროლა — ბურთი ფარქვეშ დავარდა. კილაძე, ცხვედიანი, ბაქრაძე და ჩერქეზიშვილი ერთდროულად დააცხრნენ მას. კარგა ხნის ჭიდაობის შემდეგ ბაქრაძემ მეხუთე პერსონალური მიიღო. კილაძემ ერთი საჯარიმო ჩააგდო, თუმცაღა კობეშავიძემ იქვე სამქულიანი მიაყოლა 87:85. სანაძემ ზედიზედ ორი პერსონალური მიიღო და მოედანიც დატოვა. ცაგარეიშვილმა 4-დან სამი საჯარიმო გამოიყენა. დამთავრებამდე 2,20 წუთი რჩებოდა, როცა მაისურაძემ საკუთარ ფარზე მოხსნილი ბურთით მთელი მოედანი გადმოსერა და 92:85. კობეშავიძის ორი ქულის შემდეგ „ვითა" ჯარიმების აკიდებაზე გადადის — ცაგარეიშვილი ორჯერ, ხოლო კილაძე და ქარაბაკი თითოჯერ იყენებენ ანგარიშის გაზრდის შანსს. მართალია, დადიანმა და ჩერქეზიშვილმა უკანასკნელი ბურთები ჩააგდეს, მაგრამ... ამ მატჩის შემდეგ „დინამო" ქულებით გაუსწორდა „ვითას".

მერაბ რატიშვილი

გიორგი თხინვალელის
ფოტო

## დინამო — ვითა. მატჩის შემდეგ



**ლევან მოსეშვილი (დინამო):**

— „ვითას" გუშინ მძიმე მატჩი ჰქონდა „კაქტუსთან" და ვიცოდი, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გადაღლილი იქნებოდა. მოთამაშეებს შეგნებულად მოვთხოვე „ჩასაფრების ტაქტიკით" მოქმედება — უეჭველი იყო მეტოქე ბევრ შეცდომას დაუშვებდა და პირველ რიგში მათი გამოყენება იქნებოდა საჭირო. „ვითას" პირველი შეცდომა ის იყო, რომ ფარი უბრძოლველად დაგვითმო. ამან საქმე გაგვიმარტივა და მრავალი „პირველი შეტევის" საშუალება მოგვცა. ჩემებმა კი თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვეს.

**ბესიკ ლიპარტელიანი (ვითა):**

— სამქულიანებზე თამაში თქვენი დავალება იყო?

— არა, კონკრეტულად აქცენტი სამქულიანებზე არ გამიკეთებია. რატომღაც, მოთამაშეებმა თავიდანვე ასე დაიწყეს თამაში. მე კი ვფიქრობდი, სიმაღლე გამოგვეყენებინა და ფარი მოგვეგო. როცა საქმე სხვანაირად წავიდა, წუთშესვენებაც ავიღე, ხალხი გამოვცვალე მაგრამ ოპტიმალურ შემადგენლობას ვერ მივაგენი. მეორე ტაიმში კი სხვა შანსი აღარ გვქონდა: ფარი მეტოქისა იყო და წარმატებას სამქულიანებიღა თუ მოგვიტანდა.

— „ვითას" ზედიზედ ორჯერ არასოდეს წაუგია...

— ეს ალბათ იმის ბრალია, რომ სკამზე 12 სრულფასოვანი და თანაბარძალიანი მოთამაშე მყავს. ყველა ერთმანეთის სუნთქვას გრძნობს ზურგსუკან და ფსიქოლოგიურად იბორკებიან. შევეცდებით ეს დაბრკოლება მოვუხსნათ.

## ლიპარტელიანი უარყოფს

არაოფიციალური მაგრამ ეროვნულ ნაკრებთან დაახლოებული წყაროებიდან შევიტყვეთ, თითქოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს [illegible] 12-დან 8 მოთამაშე, რომლებიც უეჭველად გაემგზავრებიან ინგლისში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩების სათამაშოდ. როგორც ამბობენ, დარჩენილი 4 ადგილიდან ერთს კონკრეტული მოთამაშე დაიკავებს (მის ვინაობას, ისევე, როგორც ყველა დანარჩენისას, გაუგებრობის ასაცილებლად და სიტუაციის გამწვავების ასარიდებლად არ ვასახელებთ), ერთ ადგილზე ორი ცენტრი აცხადებს პრეტენზიას, ხოლო უკანა ხაზის ორი ვაკანსიის შევსება ოთხ მოთამაშეს სურს.



„სარბიელმა" განმარტებისთვის მიმართა ლიპარტელიანს, რომელმაც განაცხადა: „ამგვარი რამე თქვენგან გავიგე პირველად. ეს ჭორებზე დაფუძნებული ინფორმაციაა. ჯერჯერობით ნაკრებში ადგილი არავისა აქვს დაბევებული. აქედან გამომდინარე, ცხადია, ვერც იმ ხალხს დავასახელებდი. ისე, ჩემთვის გადაწყვეტილი მაქვს, რომ სამი მოთამაშე აუცილებლად წავიყვანო ინგლისში, მაგრამ მე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ მივიღებ. იმ სამეულის ვინაობა კი, მხოლოდ მე ვიცი და თქვენი გაზეთისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერც თქვენ გეტყვით".

# «კაქტუსი»: 23-დან 23!

საქართველოს ჩემპიონატი
კაქტუსი — დინამო 91:66 (40:35)
თბილისი. სპორტის სასახლე. 6 აპრილი
მსაჯები: ლ.ინწკირველი; ვ.ჭოტაშვილი

| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 თორთლაძე | 23 | 6 | — | — | 5 | 4 | 3 |
| 7 ხოშტარია | 4 | — | 3 | — | 4 | 2 | 1 |
| 12 აბრამიძე | 8 | 1 | 2 | — | — | — | 2 |
| 13ვ.ნაცვლიშვილი | 14 | 9 | 2 | 3 | — | — | 3 |
| 14 ბერძენიშვილი | 6 | 9 | 1 | — | — | — | 1 |
| 6 ულენტი | 11 | 2 | 4 | — | — | — | 1 |
| 11 ოთიურიძე | 25 | 4 | 2 | — | 3 | 3 | — |
| სულ | 91 | 31 | 14 | 3 | 12 | 9 | 11 |
| **დინამო** | **ქ.** | **მოხ.** | **ჩაჭ.** | **დაფ.** | **საჯარ. სულ** | **საჯარ. +** | **პერს.** |
| ნ.ცაგარეიშვილი | 7 | 2 | — | 1 | 2 | 2 | 3 |
| 5 მაისურაძე | 17 | 1 | 2 | — | 2 | 1 | 5 |
| 12 ქარაბაკი | 13 | 5 | 2 | — | 2 | 1 | 5 |
| 4 ცხვედიანი | 13 | 5 | 3 | — | — | — | 4 |
| 8 ვაშაკიძე | 16 | 11 | 1 | — | — | — | 1 |
| 13კილაძე | — | 4 | — | — | — | — | 1 |
| სულ | 66 | 28 | 6 | 1 | 6 | 5 | 16 |

„დინამომ" იმდენი ძალა შეალია „ვითასთან" მატჩს და ისე უგულოდ ხურდებოდა ამ შეხვედრის წინ, ცხადი იყო, „კაქტუსთან" თავს აღარ მოიკლავდა. უხალისოდ ირჯებოდა ქარაბაკიც — ისა და ნაცვლიშვილი ერთმანეთს კეტავდნენ და პირველმა შესვენებამდე ქულაც ვერ აიღო, მეორემ კი — მხოლოდ სამი. დინამოელებმა სულ ერთხელ გაიბრძოლეს, როცა 13:21 აგებდნენ: ცხვედიანმა, ვაშაკიძემ და მაისურაძემ სამქულიანებს გარღვევები მოუნაცვლეს და 27:21 დაწინაურდნენ. ეს იყო და ეს. შემდეგ კი კაქტუსელი დავით თორთლაძის ჯერიც დადგა: ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ფარქვეშ შევიდა და თანაც ერთი საჯარიმოს სროლის უფლებაც მიიღო. მოგვიანებით კი სროლის საშუალება რომ არა ჰქონდა, ჯერ ნაცვლიშვილს გააკეთებინა 2 ქულა, შემდეგ შეტევაში კი უპატრონოდ დარჩენილი ოთიურიძეც მოძებნა, მისი გუნდის მიერ 15:4 მოგებული მონაკვეთი კი ავანტიურისტული სამქულიანით დაასრულა.

მეორე ტაიმში დინამოელთა პირველი ბურთი ქარაბაკმა ჩააგდო სამქულიანი დისტანციიდან. ხალხმა იფიქრა — არიქა, ახლა გუშინდელივით აიწყვეტსო, მაგრამ ლევანი ამჯერად რაღაც უქეიფოდ იყო და ხშირად სათადარიგოთა სკამისკენაც მიუწევდა გული.

„კაქტუსელებმა" კი მარტივ ტაქტიკას მიმართა: შეტევისთვის გამოყოფილ 30 წამს ბოლომდე იყენებდა და შემდეგ, ძირითადად, ცენტრად მყოფ ოთიურიძეს აწვდიდა, რომელიც გასავათებულ დინამოელებს იოლად უსხლტებოდა. სხვაობა ნელ-ნელა, მაგრამ მუდმივად იზრდებოდა და დამთავრებამდე 7 წუთით ადრე 25 ქულას მიაღწია (78:53). ორივე გუნდს თამაშის დამთავრება ეჩქარებოდა, რაკიღა საბოლოო შედეგი უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. ამ ფონზე კარგად გამოყურებოდა ირაკლი მაისურაძე, ვინც თითქმის მთელი შეხვედრა კოჭლობით ჩაატარა — იგი რომ არ ყოფილიყო, კაქტუსელები უფრო სწრაფად და დიდი ანგარიშით დაწინაურდებოდნენ. ნაცვლიშვილმა და ქარაბაკმა, შეთანხმებულებივით, ერთმანეთს თავი დაანებეს და ბურთების ჩაგდებაც დაიწყეს, მაგრამ ამას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

**სანდრო საგინაშვილი**


ტურისტული ფირმა

**„იმედი"**

გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:

პოლანდია — გერმანიის გავლით

ბულგარეთი — სოფია, პლოვდივი

ირანი — თეირანი

ეგვიპტე — კაირო, ალექსანდრია

კვიპროსის ნებისმიერ ქალაქში დასასვენებლად და სამუშაოდ.

კანადაში — ენების შესასწავლად კანადის უნივერსიტეტში

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: პავლოვის 42. ვაჭრობის და მომარაგების სამინისტრო, IIV სართული ტელ: 39-36-78, 38-11-14. 39-24-32 — საღამოს.


## საქართველოს ჩემპიონატი

### ექვსეულის I წრე

სპორტის სასახლე. ორშაბათი, 3 აპრილი

**კაქტუსი — თორსი 101:65**

კაქტუსი: თორთლაძე (17), აბულაძე (6), ულენტი (4), ხოშტარია (15), მაჭარაძე (6), ოთიურიძე (31), აბრამიძე (6), ბერძენიშვილი (16).

თორსი: ლომიძე (2), სპარსიაშვილი (16), ორჯონიკიძე (2), ჩხეიძე (25), მიქაძე (8), ხარაძე (12).

**დინამო — მერანი 101:87**

დინამო: მაისურაძე (25), ცაგარეიშვილი (14), ვაშაკიძე (6), სხიერელი (5), ქარაბაკი (31), კილაძე (6), ცხვედიანი (14).

მერანი: უძილაური (15), მაჩალაძე (19), გიგაური (11), ი. ბერიშვილი (7), პეტრიაშვილი (12), ტალაბაძე (2), შველიძე (4), ნაცვლიშვილი (17).

**ვითა — აზოტი 96:79**

ვითა: ვაშაკიძე (4), ბაქრაძე, კობეშავიძე (18), სანაძე (11), ჩერქეზიშვილი (11), გურასპაული (7), ბეჟანიშვილი (14), დადიანი (7), კოკოლიშვილი (6), ჩუბინიძე (8), ორმოცაძე, ტურაშვილი (10).

აზოტი: კიკვიძე (12), გოგოლაძე (6), ხაიაური (2), ქობულაძე (36), კეჭაყმაძე (10), წიკლაური (2), ბარამიძე (5), გ. ბერუაშვილი (6).

სამშაბათი, 4 აპრილი

**დინამო — აზოტი 89:54**

დინამო: მაისურაძე (22), ცაგარეიშვილი (12), რატიანი, ვაშაკიძე (22), სხიერელი (12), კილაძე (21).

აზოტი: მიროტაძე (7), კიკვიძე (2), გოგოლაძე (6), მჭედლიძე, ხაიაური (4), გონაშვილი, ქობულაძე (24), კეჭაყმაძე (8), წიკლაური (2), ბარამიძე (1), გ. ბერუაშვილი.

**მერანი — თორსი 66:52**

მერანი: უძილაური (16), მაჩალაძე (15), გიგაური (3), ი. ბერიშვილი, ტალაბაძე (2), ნაცვლიშვილი (25), პეტრიაშვილი (5).

თორსი: ცაგარეიშვილი (19), ქევხიშვილი (4), სპარსიაშვილი, ორჯონიკიძე (5), ჩხეიძე (20), ხარაძე (4).

ოთხშაბათი, 5 აპრილი

**აზოტი — თორსი 68:63**

აზოტი: კიკვიძე (8), ხაიაური (6), გონაშვილი, ქობულაძე (27), მიქიაშვილი (2), კეჭაყმაძე (21), ბარამიძე (2), გ. ბერუაშვილი (2).

თორსი: ქევხიშვილი (10), სპარსიაშვილი (9), ორჯონიკიძე (13), ჩხეიძე (8), მიქაძე (6), ხარაძე (17).

**კაქტუსი — მერანი 94:82**

კაქტუსი: თორთლაძე (42), აბულაძე (5), ულენტი (8), მაჭარაძე (6), გ. ნაცვლიშვილი, ოთიურიძე (12), აბრამიძე (5), ვ. ნაცვლიშვილი (11), ბერძენიშვილი (5).

მერანი: უძილაური (35), მაჩალაძე (8), გიგაური (7), ი. ბერიშვილი (10), პეტრიაშვილი, ტალაბაძე (4), მ. ნაცვლიშვილი (18).

ხუთშაბათი, 6 აპრილი

**აზოტი — მერანი 76:72**

აზოტი: კიკვიძე, ხაიაური (2), გონაშვილი (9), ქობულაძე (21), მიქიაშვილი (17), კეჭაყმაძე (19), ბარამიძე (4), გ. ბერუაშვილი (4).

მერანი: უძილაური (22), მაჩალაძე (26), გიგაური (8), პეტრიაშვილი (2), ტალაბაძე (2), ნაცვლიშვილი (12).

**ვითა — თორსი 114:71**

ვითა: ბაქრაძე (8), ტურაშვილი (13), სანაძე (10), ჩერქეზიშვილი (3), ბეჟანიშვილი (16), დადიანი (41), კოკოლიშვილი (4), ჩუბინიძე (17), ორმოცაძე (2).

თორსი: ქევხიშვილი (11), ლომიძე (3), სპარსიაშვილი (25), ორჯონიკიძე (11), მიქაძე (16), მოისწრაფიშვილი, ნათაძე (2).

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| კაქტუსი | 23 | 23 | 0 | 2252-1488 | 46 |
| ვითა | 23 | 19 | 4 | 2337-1562 | 42 |
| დინამო | 23 | 18 | 5 | 2128-1667 | 41 |
| მერანი | 23 | 11 | 12 | 1709-1750 | 34 |
| თორსი | 23 | 11 | 12 | 1490-1801 | 34 |
| აზოტი | 23 | 10 | 13 | 1602-1780 | 32 |

„აზოტს" დაკლებული აქვს 1 ქულა.

ბომბარდირები (ქულა, თამაში, საშუალოდ)

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევან ქარაბაკი (დინამო) | 117 | 4 | 29,2 |
| ბერდია ქობულაძე (აზოტი) | 128 | 5 | 25,6 |
| დავით თორთლაძე (კაქტუსი) | 108 | 5 | 21,6 |
| ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი) | 104 | 5 | 20,8 |
| გია ჩხეიძე (თორსი) | 77 | 4 | 19,2 |
| შოთა უძილაური (მერანი) | 94 | 5 | 18,8 |
| ირაკლი მაისურაძე (დინამო) | 91 | 5 | 18,2 |
| მერაბ ნაცვლიშვილი (მერანი) | 80 | 5 | 16,0 |
| დუდუ დადიანი (ვითა) | 78 | 5 | 15,6 |
| გურამ ვაშაკიძე (დინამო) | 76 | 5 | 15,2 |

სამქულიანები

დავით თორთლაძე (კაქტუსი) — 21
გია ჩხეიძე (თორსი) — 16
გია სანაძე (ვითა) — 14
ლევან ქარაბაკი (დინამო) — 11
ირაკლი მაისურაძე (დინამო) — 10
მიხეილ კობეშავიძე (ვითა) — 10
ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო) — 8
ნიკო ჩერქეზიშვილი (ვითა) — 8
თემურ ცაგარეიშვილი (თორსი) — 7
შალვა ცხვედიანი (დინამო) — 7

საჯარიმოები (ნასროლი, ჩაგდებული, %)

| | | | |
|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) | 11 | 10 | 90,9 |
| თამაზ გიგაური (მერანი) | 13 | 11 | 84,6 |
| დავით თორთლაძე (კაქტუსი) | 18 | 15 | 83,3 |
| ლევან ქარაბაკი (დინამო) | 17 | 14 | 82,3 |
| ბერდია ქობულაძე (აზოტი) | 38 | 31 | 81,5 |
| ილია კეჭაყმაძე (აზოტი) | 18 | 14 | 77,7 |
| ზაზა ცაგარეიშვილი (დინამო) | 23 | 17 | 73,9 |
| ნიკო ჩერქეზიშვილი (ვითა) | 15 | 11 | 73,3 |
| შოთა უძილაური (მერანი) | 14 | 10 | 71,4 |
| ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი) | 20 | 14 | 70,0 |

# UCLA - 11

3 აპრილს დასრულდა ამერიკის კოლეჯის ათლეტთა ეროვნული ასოციაციის (NCAA) პირველობა, ანუ, სხვაგვარად, ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატი. ფინალურ მატჩების პერიოდი მარტში მოდის ხოლმე და მას „მარტის სიგიჟესაც" უწოდებენ. სახელი კი ვიღაც ენამოსწრებულმა მოიგონა ოდესღაც: თურმე მარტში კურდღლების მძუნაობის პერიოდია და კალათბურთელებიც ამ დროს კურდღლებივით გაგიჟებულები დარბიანო.

ფინალში, რომელიც სიეტლში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი ჩემპიონი არკანზასი („სამართებლები") და UCLA (უნივერსიტი კალიფორნია ლოს-ანჯელეს, „ოქროს დათვები"). მატჩის შტატების პრეზიდენტმა კლინტონმაც დაათვალიერა, თანაც თავის ყოფილ საგუბერნატორო არკანზასს ქომაგობდა. მაგრამ, ჯონ ვუდენის „დათვებმა" მშრალზე დატოვეს შარშანდელი ტრიუმფატორები და 89-78 მოგებით მე-11-ჯერ გახდნენ NCAA-ის ჩემპიონები. მათგან საუკეთესო იყო ტობი ბეილი (25 ქ), მეტოქისაგან კორლის ვილიამსონი (12 ქ).

ამ ამბავს დიდი დიდი სიხარული და ღრეობა მოჰყვა ლოს-ანჯელესში. პოლიციას ეგზალტირებული ბრბოს დასაშლელად რეზინის ტყვიებიც უსვრია. ერთი გულშემატკივარი კისერში დანით დაჭრეს, მავან პოლიციელს კი გვერდებში ბოთლი ჩასცხეს და ნეკნებიც ჩაუმტვრიეს.

**NCAA: ბოლო 25 წლის ჩემპიონები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1970: | UCLA | 1983: | N.C. სტეიტი |
| 1971: | UCLA | 1984: | ჯორჯთაუნი |
| 1972: | UCLA | 1985: | ვილანოვა |
| 1973: | UCLA | 1986: | ლუისვილი |
| 1974: | UCLA | 1987: | ინდიანა |
| 1975: | UCLA | 1988: | კანზასი |
| 1976: | ინდიანა | 1989: | მიჩიგანი |
| 1977: | მარკეტი | 1990: | UNLV |
| 1978: | კენტუკი | 1991: | დიუკი |
| 1979: | მიჩიგან სტეიტი | 1992: | დიუკი |
| 1980: | ლუისვილი | 1993: | ჩრდ. კაროლინა |
| 1981: | ინდიანა | 1994: | არკანზასი |
| 1982: | ჩრდ. კაროლინა | 1995: | UCLA |

შენიშვნა: UCLA — უნივერსიტი კალიფორნია ლოს-ანჯელეს; N.C. სტეიტი — ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტი; UNLV — უნივერსიტი ნევადა ლას-ვეგას

## ჯორდანის ორი რეკორდი

28 მარტს მაიკლ ჯორდანმა ორი რეკორდი დაამყარა „ნიუ-იორკ ნიქსთან" შეხვედრისას. დაბრუნებიდან მე-5 მატჩში მან 55 ქულა გააკეთა. ჯერ ერთი, ამ სეზონში ამდენი არავის ჩაუგდია; მეორეც, ვერც „მედისონ სქვეარ გარდენში" გაუკეთებია ვინმეს ამდენი ქულა „ნიქსის" წინააღმდეგ. მატჩის შემდეგ ჯორდანის მეურვემ ჯონ სტარქსმა აღნიშნა: მეტოქის ხელით დაჭერის წესის გაუქმების შემდეგ ჯორდანს კაციშვილი ველარ დაიჭერსო. თავად მაიკლი დაბნეული იყო, თუმცა რეკორდები შეიფერა: ვიცოდი, ოდესმე კვლავ მაგრად ავთამაშდებოდი, მაგრამ თუ ეს ასე მალე მოხდებოდა, რას ვიფიქრებდიო.

## მაქსველს აქეთ უჩივიან

„ჰიუსტონ როკიტსის" მოთამაშემ ვერნონ მაქსველმა, გეხსომებათ, 6 თებერვალს პორტლენდში რასისტული ლოზუნგების წამოძახებისთვის გალახა გულშემატკივარი სტივ ჯორჯი. მაქსველმა მაშინ ათ თამაშიანი დისკვალიფიკაციაც მოიხადა და NBA-ის სალაროში 20 ათასი დოლარიც გადაიხადა.

3 მარტს კი თავად ჯორჯმა იჩივლა სასამართლოში. „გიჟ მაქსს" ნაცემი პორტლენდელი საკომპენსაციოდ 4,5 მილიონ დოლარს ითხოვს.

**ანტონ ერისთავი**


გამოვიდა მერაბ რატიშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ამერიკული კალათბურთი 1994", რომელშიც უფრო ახლოს გაეცნობით ამერიკის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას.



წიგნის ყიდვა შეგიძლიათ სპორტის სასახლეში, ვერის ბაღში, საგაზეთო ჯიხურებსა და „სარბიელის" რედაქციაში.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, | a - სტუმრად | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

### იტალია. 26-ე ტური. 9 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | BARI -<br>a 1-1 Genoa<br>h 1-1 Napoli | FIORENTINA<br>h 4-0 Brescia<br>a 1-0 Padova | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-2 | -/- | -/- |
| | BRESCIA -<br>a 0-4 Fiorentina<br>h 1-4 Torino | PADOVA<br>a 1-4 Foggia<br>h 0-1 Fiorentina | 3,2 | 2,8 | 1,6 | 0-2 | -/- | -/- |
| | CAGLIARI -<br>a 2-3 Torino<br>h 0-1 Roma | FOGGIA<br>h 4-1 Padova<br>a 0-3 Inter | 1,4 | 2,6 | 5,0 | 0-2 | 1-1/1-0 | 1-1/1-1 |
| | INTER -<br>a 1-0 Reggiana<br>h 3-0 Foggia | GENOA<br>h 1-1 Bari<br>a 0-4 Lazio | 1,1 | 3,4 | 7,0 | 1-2 | 1-3/0-1 | 4-0/1-1 |
| | JUVENTUS -<br>a 2-0 Milan<br>h 1-0 Cremonese | TORINO<br>h 3-2 Cagliari<br>a 4-1 Brescia | 1,4 | 3,0 | 4,0 | 2-3 | 3-2/1-1 | 2-1/2-1 |
| | LAZIO -<br>a 0-0 Cremonese<br>h 4-0 Genoa | REGGIANA<br>h 0-1 Inter<br>h 2-2 Parma | 1,1 | 3,2 | 8,0 | 0-0 | 2-0/0-0 | -/- |
| | NAPOLI -<br>h 2-0 Sampdoria<br>a 1-1 Bari | ROMA<br>h 1-0 Parma<br>a 1-0 Cagliari | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-1 | 1-1/3-2 | 2-1/1-1 |
| | PARMA -<br>a 0-1 Roma<br>a 2-2 Reggiana | MILAN<br>h 0-2 Juventus<br>a 3-0 Sampdoria | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | 0-0/1-1 | 0-2/1-0 |
| | SAMPDORIA -<br>a 0-2 Napoli<br>h 0-3 Milan | CREMONESE<br>h 0-0 Lazio<br>a 0-1 Juventus | 1,2 | 3,0 | 6,5 | 0-2 | 3-1/0-0 | -/- |

### ესპანეთი. 28-ე ტური. 8-9 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | VALLADOLID -<br>a 0-3 Sociedad<br>h 1-4 Tenerife | OVIEDO<br>a 1-1 Sevilla<br>h 3-0 Sociedad | 2,3 | 2,5 | 2,2 | 0-1 | 0-0/0-1 | -/- |
| | SPORTING -<br>h 1-1 Athletic<br>a 2-1 Albacete | SEVILLA<br>h 1-1 Oviedo<br>a 2-0 Athletic | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-5 | 0-1/2-1 | 1-3/0-1 |
| | BARCELONA -<br>a 1-2 Tenerife<br>h 0-0 Valencia | SOCIEDAD<br>h 3-0 Valladolid<br>a 0-3 Oviedo | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1-1 | 3-0/1-2 | 1-0/2-2 |
| | ATHLETIC -<br>a 1-1 Sporting<br>h 0-2 Sevilla | RACING<br>h 2-1 Albacete<br>a 1-0 Logrones | 1,4 | 2,6 | 5,0 | 2-0 | 1-2/2-2 | -/- |
| | DEPORTIVO -<br>a 2-1 Valencia<br>h 0-1 Atletico | TENERIFE<br>h 2-1 Barcelona<br>a 4-1 Valladolid | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1-1 | 2-0/1-0 | 2-2/1-3 |
| | ALBACETE -<br>a 1-2 Racing<br>h 1-2 Sporting | ESPANOL<br>h 2-0 Logrones<br>a 0-1 Real | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-5 | -/- | 2-0/0-2 |
| | CELTA -<br>a 2-0 Atletico<br>h 0-0 Zaragoza | VALENCIA<br>h 1-2 Deportivo<br>a 0-0 Barcelona | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-1 | 1-2/0-3 | 0-0/1-1 |
| | LOGRONES -<br>a 0-2 Espanol<br>h 0-1 Racing | COMPOSTELA<br>h 1-1 Real<br>a 0-1 Betis | 3,4 | 2,8 | 1,5 | 0-2 | -/- | -/- |
| | BETIS -<br>a 0-3 Zaragoza<br>h 1-0 Compostela | ATLETICO<br>h 0-2 Celta<br>a 1-0 Deportivo | 1,4 | 2,7 | 4,7 | 2-0 | -/- | -/- |
| | REAL -<br>a 1-1 Compostela<br>h 1-0 Espanol | ZARAGOZA<br>h 3-0 Betis<br>a 0-0 Celta | 1,2 | 3,0 | 6,5 | 2-3 | 3-2/1-4 | 4-0/1-0 |

### გერმანია. 25-ე ტური. 7-9 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 07.04 | BOCHUM -<br>a 1-3 Duisburg<br>h 0-2 Borussia M | HAMBURGER SV<br>h 0-0 Werder<br>a 1-1 Dynamo | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-3 | -/- | 1-2/0-2 |
| | B. UERDINGEN -<br>a 1-3 Borussia D<br>h 1-1 Eintracht | STUTTGART<br>h 4-2 B. Leverkusen<br>h 0-0 Borussia D | 2,2 | 2,4 | 2,4 | 1-3 | -/- | 3-3/2-1 |
| 08.04 | SCHALKE 04 -<br>a 3-0 Eintracht<br>h 0-1 Kaiserslautern | BORUSSIA D<br>h 3-1 B. Uerdingen<br>a 0-0 Stuttgart | 2,5 | 2,5 | 2,0 | 2-3 | 1-0/1-1 | 0-0/2-0 |
| | KARLSRUHER SC -<br>a 0-0 Kaiserslautern<br>h 0-0 Koln | EINTRACHT<br>h 0-3 Schalke 04<br>a 1-1 B. Uerdingen | 1,4 | 2,7 | 4,7 | 0-1 | 1-0/1-3 | 4-1/1-4 |
| | DYNAMO -<br>a 1-3 Munchen 1860<br>h 1-1 Hamburger SV | KOLN<br>h 3-1 Bayern<br>a 0-0 Karlsruher SC | 2,5 | 2,5 | 2,0 | 2-1 | 1-1/1-0 | 3-0/1-3 |
| | BAYERN -<br>a 1-3 Koln<br>h 1-0 Munchen 1860 | KAISERSLAUTERN<br>h 0-0 Karlsruher SC<br>a 1-0 Schalke 04 | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | 4-0/0-4 | 1-0/3-1 |
| | FREIBURG -<br>a 2-1 Borussia M<br>a 4-2 B. Leverkusen | DUISBURG<br>h 3-1 Bochum<br>a 1-5 Werder | 1,5 | 3,4 | 3,0 | 2-1 | 1-2/2-0 | -/- |
| | B. LEVERKUSEN -<br>a 2-4 Stuttgart<br>h 2-4 Freiburg | BORUSSIA M<br>h 1-2 Freiburg<br>a 2-0 Bochum | 2,0 | 2,4 | 2,6 | 3-3 | 0-1/2-2 | 4-0/2-2 |
| 09.04 | WERDER -<br>a 0-0 Hamburger SV<br>h 5-1 Duisburg | MUNCHEN 1860<br>h 3-1 Dynamo<br>a 0-1 Bayern | 1,1 | 3,2 | 8,0 | 2-1 | -/- | -/- |

### ინგლისი. 37-ე ტური. 8 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 | 1992-1993 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | WIMBLEDON -<br>a 4-3 Leicester<br>h 2-0 Manchester C | CHELSEA<br>h 1-1 Newcastle<br>a 0-1 QPR | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | 1-1/0-2 | 0-0/0-4 |
| | LIVERPOOL -<br>a 0-0 Tottenham<br>h 2-0 Manchester U | LEEDS<br>a 0-0 Manchester U<br>a 0-3 Nottingham | 1,4 | 2,6 | 5,0 | 2-0 | 2-0/0-2 | 2-0/2-2 |
| | ASTON VILLA -<br>a 0-0 Crystal Palace<br>a 1-0 Ipswich | MANCHESTER C<br>a 1-2 Crystal Palace<br>a 0-2 Wimbledon | 1,4 | 2,8 | 4,4 | 2-2 | 0-0/0-3 | 3-1/1-1 |
| | NOTTINGHAM -<br>a 7-1 Sheffield W<br>h 3-0 Leeds | WEST HAM<br>a 2-0 Aston Villa<br>h 2-2 Norwich | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1-3 | -/- | -/- |
| | NEWCASTLE -<br>a 1-1 Chelsea<br>a 1-3 Southampton | NORWICH<br>a 1-5 Arsenal<br>h 3-0 Ipswich | 1,2 | 3,0 | 6,5 | 1-2 | 3-0/2-1 | -/- |
| | QPR -<br>h 0-1Blackburn<br>a 1-0 Coventry | ARSENAL<br>h 5-1 Norwich<br>a 0-3 Manchester U | 2,2 | 2,4 | 2,4 | 3-1 | 1-1/0-0 | 0-0/0-0 |
| | SHEFFIELD W -<br>h 1-7 Nottingham<br>a 2-3 Manchester C | LEICESTER<br>h 3-4 Wimbledon<br>a 0-1 Tottenham | 1,1 | 3,5 | 6,5 | 1-0 | -/- | -/- |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | | 0-0 | 2-0 | | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | | | | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | |
| 6 | AC FOGGIA | | 3-1 | 2-0 | 0-1 | | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | ■ | | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | | 5-0 | | | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | | 2-1 | | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | | 2-0 | | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | | 1-0 | 2-0 | | | ■ | 3-3 | | 1-0 | | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | | | | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | | 3-2 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | |
| 15 | AS ROMA | 2-0 | | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | | 5-1 | 5-1 | 2-2 | | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | | 1-0 | 2-0 | 0-0 | | 0-0 | 0-2 | | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | | | 3-1 | 3-0 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | | | 3-1 | 1-1 | 2-1 | | | 1-1 |
| 2 | ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | | | | 0-0 | | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | | |
| 4 | ATHLETIC BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | | 2-0 | 0-2 | 1-0 | | 1-1 | | | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | | | 1-2 | 0-1 | ■ | | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | | | 1-1 | | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | | 1-3 | 0-1 | ■ | | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO MADRID | | | 2-0 | 2-1 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | ■ | | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | | | | 2-0 | 4-2 | | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | | [illegible] | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | | | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | | | 3-2 | 1-0 | | 3-1 | 3-2 | 2-1 | | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | | | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | | 0-0 | | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | | 1-1 | 1-2 | |
| 16 | FC SEVILLA | 0-2 | 3-0 | | 0-0 | 3-0 | 5-1 | | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | | |
| 17 | CD TENERIFE | | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | |
| 18 | FC VALENCIA | 3-3 | 0-0 | 1-2 | | | 0-0 | 1-2 | | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | | | 0-1 | 0-5 | | 1-1 | 2-0 | 1-1 | | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | | 0-2 | 0-0 | 3-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | | 1-3 | | 0-2 | 0-1 | | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | WERDER BREMEN | 3-0 | ■ | | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | | 2-1 | 4-0 | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | 2-0 | ■ | | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | | 0-3 | | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | | 4-1 | 2-0 | | ■ | | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | | 2-0 | ■ | 3-0 | | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | | | | ■ | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. KAISERSLAUTERN | | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 1-1 | 3-2 | | ■ | 0-0 | | 1-0 | | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | | 2-4 | 2-2 | 3-1 | | | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | | 1-6 | 1-2 | | 3-0 | | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | | 4-0 | 2-4 | | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | | 4-0 | 2-2 | | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | | | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | | | 1-0 | | 1-1 | | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | | 1-1 | | 6-2 | ■ | 1-1 | |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | | 1-1 | | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | | 0-0 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-3 | 1-1 | | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | | 0-1 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | | | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | ■ | 2-1 | 4-0 | | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | | 2-4 | | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | | | 1-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 1-1 | | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-4 | | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | | 0-0 | 2--1 | 0-0 | | | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | | 0-2 | 3-1 | ■ | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | | 0-0 | 1-0 | |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | | 0-2 | | ■ | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | | 1-2 | 2-1 | 1-3 | | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | | | 2-3 | 3-0 | | 1-0 | | ■ | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | | 2-2 | 0-1 | 2-2 | | 1-3 | ■ | 1-2 | 0-1 | | 1-3 | | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | | ■ | 0-3 | | 2-0 | 3-3 | | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-0 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | | | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | | 2-0 | 1-1 | | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | | | 1-1 | | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 2-0 | 3-1 | 1-3 | | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | | | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 3-0 | | 1-0 | 0-0 | | 0-1 | 4-2 | | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | | 3-0 | | 1-3 | 2-2 | 3-1 | | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | | 1-3 | 0-1 | | 1-2 | | ■ |

# ზელანდია — აფრიკა 0-3

**სამხრეთ ნახევარსფეროს პროვინციათა პირველობა — „ზე-ათის“ სერიალი**

„ა“ ქვეჯგუფი. 1 აპრილი: ჩრდ. ნავსაყუდელი (ტაკაპუნა, ახ. ზელანდია) — დას.კონცხი (ქეიფთაუნი, სამხრ. აფრიკა) 37:42. 2 აპრილი: ოთაგო (დანიდინი, ახ. ზელანდია) — ტრანსვაალი (იოჰანესბურგი, სამხრ. აფრიკა) 18:27
„ბ“ ქვეჯგუფი. 1 აპრილი: ქენთებრი (ქრაისთჩერჩი, ახ.ზელანდია) — ნარინჯი (ბლუმფონტეინი, სამხრ. აფრიკა) 35:42

**„პილკინგტონის თასი“ — ინგლისის საკლუბო თასი**

ნახევარფინალი. 1 აპრილი: პარლიქვინზი (ლონდონი) — ბასი 13:31; ლესტერი — ვოსფსი (ლონდონი) 22:25

**ლიგის რაგბის „სილქ ქათ ჩელენჯ ქაფ“ — ინგლისის საკლუბო თასი**

ნახევარფინალი. 25 მარტი. ჰადერსფილდი: ოლდემი — ვიგანი 20:48. 1 აპრილი: ლიდსი — ფეზერსთოუნი 39:22

„ზე-ათის სერიალის“ დამფუძნებელი და მთავარი სპონსორი — სამხრეთი აფრიკის ტელეხედვა (SABC) კმაყოფილი იფშვნეტს ხელებს, ვინაიდან სანატრელი ფინალი გაინაღდა: ხვალ, 8 აპრილს, იოჰანესბურგის „ელის პარკზე“ სერიალის შარშანწინდელი გამარჯვებული, სამხრეთი აფრიკის ტრანსვაალი შარშანდელ ჩემპიონს, ავსტრალიის ქვინზლენდს უნდა ეთამაშოს.

დებულება ისეა შედგენილი, რომ თუ ფინალში თუნდაც ერთი აფრიკული გუნდი გავა, ეს თამაში მის მოედანზე უნდა გამართოს. სპონსორი ბოლო ტურის წინ ღელავდა, ვინაიდან ერთ ქვეჯგუფში ქვინზლენდს უდანაკარგოდ და ვადამდე გაემარჯვა, მეორე ქვეჯგუფში ავსტრალიის ახალ სამხრეთ უელსს (ანუ სიდნეის) ოთხი მატჩიდან სამი მოეგო, ტრანსვაალს კი დასავლეთ კონცხთან გაუთვალისწინებლად წაეგო და თუ ბოლო ტურში ოთაგოს სტუმრად ვერ მოუგებდა, ფინალი ავსტრალიელთა საშინაო საქმე გახდებოდა.

აფრიკელთა შიში უსაფუძვლო გამოდგა: წინა უქმეებზე მათი პროვინციათა ტრიო „მოგრძო თეთრი ღრუბლის ქვეყანაში“ (ახალ ზელანდიაში) ჩამოხდა და სამივე მასპინძელი სამხრეთი ნახევარსფეროს რაგბისათვის დამახასიათებელი ანგარიშებით დაამარცხა. ნაკრების შარშანდელი მარცხების შემდეგ ზელანდიის პროვინციული გუნდებიც ცუდად ასპარეზობენ, [illegible] მომავალ მსოფლიო თასზე „ოლ ბლექს“ [illegible] არაფერს მოასწავებს.

[illegible] კანტერბერი [illegible] მსოფლიო თასის [illegible] აქნება. ტრანსვა[illegible] და ქვინზლენდის მოთამაშეთა უმრავლესობა თავ-თავისი ქვეყნის ნაკრებშიც თამაშობს, 25 მაისს კი სწორედ სამხრეთი აფრიკისა და ავსტრალიის მატჩით ქეიფთაუნში მესამე მსოფლიო თასი გაიხსნება.

**უელსის** ნაკრებს ახალი უფროსობა ჰყავს. ხუთი ერის პირველობის შემდეგ გადამდგარი სამეულის ნაცვლად დააწინაურეს: მენეჯერად — უელსისა და „ბრიტანელი ლომების“ ძველი მეორეხაზელი ჯეფ ევანსი; მწვრთნელად — ავსტრალიელი ალექს ევანსი („კარდიფი“); მწვრთნელის თანაშემწეებად — მაიქ რადოქი („სვონზი“) და დენის ჯოინერი („პონტიპრიზი“). ქვეყნის ჩემპიონატში „კარდიფი“ ორი ქულით უსწრებს „პონტიპრიზს“, „სვონზი“ კი შარშადელი ჩემპიონია.

**იტალიამაც** გამოაქვეყნა იმ 32 მოთამაშის სია, რომლებსაც ფრანგი მწვრთნელი ჟორჟ კოსტი ჯერ თავისს სამშობლოში წარუძღვება, მერე კი მსოფლიო თასისთვის 26 კაცს ამოარჩევს. გუნდში ვერაა კაპიტანი მასიმო ჯოვანელი, ვინც შარშან შემოდგომაზე ავტოკატასტროფაში თეძო მოიტეხა. სამაგიეროდ, სიაში წერია ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მესამეხაზელი ჯულიან გარდნერი, ვინაც კარგა ხანია იტალიის ჩემპიონატში თამაშობს, შარშან კი ამ ქვეყნის ნაკრებშიც შეიყვანეს.

**ინგლისის** ნაკრების მოთამაშეები ახალი წლიდან კლუბებში მხოლოდ თასზე თამაშობენ. ნაკრების მწვრთნელ, ჯეკ რაუელის ყოფილი კლუბი „ბასი“ ბოლო 12 გათამაშებაში მეცხრედ გავიდა ფინალში, „ვოსფსისა“ და ნაკრების 10 ნომერმა რობ ენდრიუმ კი „ლესტერს“ 20 ქულა გაუტანა.

**ფინალისტები** გამოვლინდნენ ლიგის რაგბის თასზეც. „ვიგანმა“ ამ თასის გათამაშებაში ზედიზედ 41-ე თამაშიც მოიგო — „ოლდემთან“, ვისთანაც უკანასკნელად, 1987 წელს წააგია. ფინალში, რომელიც „უემბლიზე“ 29 აპრილს გაიმართება, „ვიგანი“ შარშანდელივით „ლიდსს“ ეთამაშება.

**ავსტრალიაში** ლიგის მორიგი სეზონი კი დაიწყო, მაგრამ დიდი სკანდალიც მოჰყვა. სამმა ბობოლა კლუბმა: „კანბერამ“, „კრონალამ“ და „ქენთებრიმ“ ვადამდე, კონტრაქტის ამოწურვამდე ხუთი წლით ადრე უღალატა „ვინფილდის თასის“ მთავარ პატრონს, ავსტრალიის უმდიდრეს ადამიანს, ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მფლობელ ქერი პაკერს და მედიის მეორე მაგნატის, „ნიუზ ლიმითედ გრუპის“ მეპატრონის, ასევე ავსტრალიელი რუპერტ მერდოქის მიერ შექმნილ „სუპერ-ლიგას“ მიემხრო. ამან ერთობ ალაშფოთა ავსტრალიის რაგბის ლიგა, აქაოდა მავანთ სურთ, ჩვენი სპორტი რომ მოგვტაცონო. ისე კი, ყველაფერი ტელევიზიით ლიგის რაგბის ჩვენების უფლების დაუნჯებისათვის ბრძოლის გამო მომხდარა.

## დასკვნითი ეტაპის თამაშთა განრიგი

სამხრეთი აფრიკა, 1995 წელი

| დრო | ქალაქი | ჯგუფი | მონაწილენი | |
|---|---|---|---|---|
| **25 მაისი, ხუთშაბათი** | | | | |
| 15:30 | ქეიფთაუნი | „ა“ | ავსტრალია | — სამხ. აფრიკა |
| **26 მაისი, პარასკევი** | | | | |
| 16:00 | რიუსტენბურგი | „დ“ | შოტლანდია | — სპ. ძვლ. ნაპ. |
| 18:00 | პრეტორია | „დ“ | საფრანგეთი | — ტონგა |
| 20:00 | ფორთ-ელიზაბესი | „ა“ | კანადა | — რუმინეთი |
| **27 მაისი, შაბათი** | | | | |
| 13:00 | ისთ-ლანდონი | „ბ“ | სამოა | — იტალია |
| 15:00 | ბლუმფონტეინი | „გ“ | უელსი | — იაპონია |
| 17:00 | დურბანი | „ბ“ | ინგლისი | — არგენტინა |
| 20:00 | იოჰანესბურგი | „გ“ | ახ. ზელანდია | — ირლანდია |
| **30 მაისი, სამშაბათი** | | | | |
| 12:30 | ისთ-ლანდონი | „ბ“ | სამოა | — არგენტინა |
| 14:30 | ქეიფთაუნი | „ა“ | სამხ. აფრიკა | — რუმინეთი |
| 18:00 | რიუსტენბურგი | „დ“ | საფრანგეთი | — სპ. ძვლ. ნაპ. |
| 20:00 | პრეტორია | „დ“ | შოტლანდია | — ტონგა |
| **31 მაისი, ოთხშაბათი** | | | | |
| 13:00 | ფორთ-ელიზაბესი | „ა“ | ავსტრალია | — კანადა |
| 15:00 | ბლუმფონტეინი | „გ“ | ირლანდია | — იაპონია |
| 17:00 | დურბანი | „ბ“ | ინგლისი | — იტალია |
| 20:00 | იოჰანესბურგი | „გ“ | ახ. ზელანდია | — უელსი |
| **3 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 13:00 | რიუსტენბურგი | „დ“ | ტონგა | — სპ. ძვლ. ნაპ. |
| 15:00 | სტელენბოსხი | „ა“ | ავსტრალია | — რუმინეთი |
| 17:00 | პრეტორია | „დ“ | შოტლანდია | — საფრანგეთი |
| 20:00 | ფორთ-ელიზაბესი | „ა“ | კანადა | — სამხ. აფრიკა |
| **4 ივნისი, კვირა** | | | | |
| 13:00 | ისთ-ლანდონი | „ბ“ | არგენტინა | — იტალია |
| 15:00 | ბლუმფონტეინი | „გ“ | ახ. ზელანდია | — იაპონია |
| 17:00 | იოჰანესბურგი | „გ“ | ირლანდია | — უელსი |
| 20:00 | დურბანი | „ბ“ | ინგლისი | — სამოა |
| **10 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 13:00 | დურბანი | 1/4 | „დ“ - 1 | — „გ“ - 2 |
| 15:30 | იოჰანესბურგი | 1/4 | „ა“ - 1 | — „ბ“ - 2 |
| **11 ივნისი, კვირა** | | | | |
| 13:00 | ქეიფთაუნი | 1/4 | „ბ“ - 1 | — „ა“ - 2 |
| 15:30 | პრეტორია | 1/4 | „გ“ - 1 | — „დ“ - 2 |
| **17 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 15:00 | დურბანი | 1/2 | 10 ივნისს გამარჯვებულები | |
| **18 ივნისი, კვირა** | | | | |
| 15:00 | ქეიფთაუნი | 1/2 | 11 ივნისს გამარჯვებულები | |
| **22 ივნისი, ხუთშაბათი** | | | | |
| 17:00 | პრეტორია | მც. ფ. | თამაში მესამე ადგილისათვის | |
| **24 ივნისი, შაბათი** | | | | |
| 15:00 | იოჰანესბურგი | ფინალი | თამაში ჩემპიონობისათვის | |

შეჯიბრებაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები მასპინძელ უელსთან ერთად შეურჩევლად დაიშვებიან 1999 წლისათვის დანიშნულ თასის მეოთხე გათამაშებაში

* 1994 წლის ნოემბრიდან სამხრეთაფრიკული დროის ჩვენებურზე გადმოსაყვანად საათის ჩვენებას ორი უნდა წაემატოს

# 15 შენიშვნა მსოფლიო რაგბის გამო



დღეს რაგბის დღეობაა — ეს დიდებული თამაში სწორედ რომ 7 აპრილს, ინგლისის ქალაქ რაგბში გამართული ლიანგური ბურთაობისას იშვა. ამასთან დაკავშირებით უპრიანად გვესახება რაგბის ცნობილი ისტორიკოსის — ჯონ გრიფითსის მიერ შედგენილი 15-ნაკვეთიანი ნუსხის მოტანა, გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ რომ გამოაქვეყნა. მიხვდებოდით, ავტორს 15 იმად აურჩევია, რომ რაგბის გუნდი 15-კაციანია.

1. რომანტიკოსებს მიაჩნიათ, რომ თამაში, რომელსაც დღესდღეობით მსოფლიოს 116 ქვეყანაში ეტანებიან, 1823 წელს რაგბის სკოლაში მოიგონა ვილიამ ვებ ელისმა, ვინაც ბურთი ხელში აიღო.

2. პირველი კლუბი ჩამოაყალიბეს ქემბრიჯის უნივერსიტეტში. იგი შეხვედრებს „პარკერს პისზე“ მართავდა.

3. 1871 წელს მოიწვიეს რაგბის კავშირის დამფუძნებელი კრება. მას 21 კლუბის წარმომადგენლები დაესწრნენ. ლონდონის „ვოსფსი“ (კრაზანები) წვეულთა შორის იყო, მაგრამ მათი წარგზავნილი შეცდომით სხვა ლუდხანაში გამოცხადდა.

4. პირველ საერთაშორისო მატჩში, 1871 წელს, შოტლანდიამ ინგლისი ერთობ სადაო ლელოთი დაამარცხა. მსაჯმა, ამ ლელოს გატანილად რომ თვლიდა, ასე იმსჯელა: თუ შევჭვდი, იმ გუნდის საზარალოდ განაჩინე, ვინაც იმ დროისთვის მეტად აგიყვირდება, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ სწორედ ეგ გუნდია მტყუანიო.

5. 1887 წელს ირლანდიამ ინგლისი პირველად დაამარცხა. გამარჯვებულთა მავანმა მორკინალმა, სათამაშოდ სამსახურიდან რომ დათხოვნოდა, მატჩის დღისთვის საკუთარი ქორწილი დანიშნა. სხვაფრივ, მის სარაგბო გეგმებს ასრულება არ ეწერა.

6. 1890-იან წლებში ბრიტანეთის გუნდები უკვე საზღვარგარეთულ ტურნეებს მართავდნენ. მავანმა შოტლანდიელმა გარემარბმა სამხრეთ აფრიკაში პირველი სტუმრობის გამო თქვა, მგზავრობისა და შამპანურის მეტი არაფერი მახსოვსო.

7. 1892 წელს ბრიტანეთის საუკეთესო ფეხბურთის გუნდმა — „კორინთიანსმა“ ქვეყნის საუკეთესო რაგბის გუნდი — „ბარბერიანსი“ დაამარცხა როგორც ფეხბურთის, ასევე რაგბის თამაშში.

8. სამუშაოს გამცდენ მობურთალთათვის ფულადი ანაზღაურების დასაწესებლად ამტყდარმა დავამ 1895 წელს ჩრდილოეთის რაგბის კავშირის, დღევანდელი რაგბის ლიგის, შექმნა გამოიწვია. მას აქეთ ასი წელი გასულა, რაგბის ორი ნაირსახეობის შესარიგებელ თამაშს კი დღესაც ამაოდ ელის საზოგადოებრიობა.

9. 1905 წელს ბრიტანეთს პირველად ეწვია ძლიერი სტუმარი — ახალი ზელანდია. ამათი ერთ-ერთი დიდი მოგების შემდეგ მავანი გაზეთის რედაქტორმა ანგარიშს სათაურად „ოლ ბექს“ (ყველანი მცველები) შეურჩია, მაგრამ ასოთამწყობმა, ვინაც კარგად უწყოდა ზელანდიელთა სათამაშო ტანისამოსის ფერი, სათაურად „ოლ ბლექს“ (ყველანი შავები) ამოიკითხა, რითაც თავისდაუნებურად რაგბის სამყაროს უცნობილესი თიკუნი გამოიგონა.

10. ხუთი ერის პირველობის შემოღების ხანაში გუნდების სამზადისი ამჟამინდელთან, აბა, როგორ მოვიდოდა. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ 1910 წელს ფრანგებმა უელსთან სათამაშოდ მავანი მოთამაშე მას შემდეგღა შეიგულეს, რაც ნაკრების შემრჩევლები მორაგბეს იღბლად შეხვდნენ პარიზის სამხატვრო გალერეაში.

11. მავანმა, გვარად კეჩსაიდმა, რაგბის ხელისუფლებს მოთამაშეთა უფლებების დასაცავად ძლიერი დარტყმა აგემა — 1924 წელს კალკუტის თასის თამაშიდან ერთი პენსი სარფი ნახა. მორაგბე გაწეული ხარჯის სანაცვლოდ ოთხი გირვანქის ანაზღაურებას ითხოვდა, რაგბის მამებმა კი ოდენ 3 გირვანქა, 19 შილინგი და 11 პენსი (ანუ 4 გირვანქაზე ერთი კინკილა პენსით ნაკლები) მისცეს — აქაოდა მგზავრობისას მეტი არ დაგხარჯვიაო. მოთამაშეს ამაზე წარბიც არ შეუხრია — ის ერთი პენსიც მიზღეთ, კინგ კროსის სადგურის საზოგადო საპირფარეშოში შეშვებისათვის ჩემი ჯიბიდან რომ გავიღეო.

12. 1920-იან წლებამდე მორაგბეებს კვართებზე ნომრების დაწერა წესად არა ჰქონდათ. კონსერვატიზმით ცნობილი შოტლანდიელები მერეც კარგა ხანს ჯიუტობდნენ. 1926 წელს, თვიქნემში, თვით მეფე ჯორჯს მოუხდა შოტლანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტის კადნიერი პასუხის მოსმენა, როცა იმპერიის მეთაური ქვეშევრდომს დაეკითხა, თქვენები რატომ არ დაგინომრიათო. „მეუფეო, რაგბის მატჩზე მობრძანებულხართ, პირუტყვის შესასყიდად კი არაო“, მიუგია სქოთს.

13. ჭეშმარიტად უნივერსალი მობურთალები რაგბს, ერთი პირობა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც სწყალობდნენ. 1940-იან წლებში მავანი დოქტორი, გვარად ოფლანაგანი, კვირაგამოშვებით ხან „ლანდონ აირიშის“ სახელით რაგბს თამაშობდა, ხანაც „არსენალის“ სახელით — ფეხბურთს, ირლანდის ნაკრებში კი ორივე სახეობაში ასპარეზობდა. 1956 წელს ვინმე სმითი გამხდარა უკანასკნელი მორაგბე, ვისაც ნაკრებთა დონეზე თამაშის შემდეგ ტესტ-კრიკეტიც დაუჭაშნიკებია.

14. 1970-იან წლებს ურჩხულის ათწლეულად მოიხსენიებენ, ვინაიდან უელსი, ვისი გერბიცაა ურჩხული, ხუთი ერის პირველობაზე მძლავრობდა. აწ განსვენებულ რიჩარდ ბარტონს კიდეც ულიარებია, ჰამლეტის ნაცვლად არ მერჩია, უელსის რაგბის ნაკრებში მეთამაშაო!

15. რაგბი მსოფლიოს მოედო და გამოგონებიდან 164 წლის თავზე პირველი მსოფლიო თასიც მოიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ჩემპიონი ახალი ზელანდია გახდა.

ინგლისურიდან გადმოაქართულა
კოტე იაშვილმა

## მძლეოსნობა

# დროსტარება ლონდონურად




წინა უქმეებზე სპორტის ბრიტანელ ქომაგებს ბევრი რამა ჰქონდათ თავშესაქცევი: შაბათს ოქსფორდისა და ქემბრიჯის უნივერსიტეტებმა ტრადიციული სანიჩბოსნო შეჯიბრი გამართეს, კვირას საღამოს „უემბლიზე“ „კოკა-კოლას“ ლიგის თასი გაითამაშეს ფეხბურთელებმა, დილით კი ლონდონის საერთაშორისო მარათონი მოეწყო.

მექსიკელმა მორბენალმა დიონისიო სერონმა დაამტკიცა, რომ უდიდესი მარათონელია. ამ დღეს ლონდონში ეს შეჯიბრი მე-15-ედ გაიმართა და 25-ათასიანი მოსეირე საზოგადოებაც მიიზიდა. მექსიკელი კი არც ამათ შეეპუა, არც რიყის ქვებით მოკირწყლულ ტრასას, არც ბრიტანული თანამეგობრობის თამაშების ჩემპიონს, ავსტრალიელ სთივ მონიგეტის და პირველმა ლონდონური გარბენების ისტორიაში ზედიზედ მეორედ მოიგო შეჯიბრი, გრინვიჩის ობსერვატორიასთან რომ იღებს სტარტს და ტაუერთან მთავრდება. გამარჯვებულმა უახლოეს მდევარს მონიგეტის 3 წამით მიასწრო ფინიშთან. მესამე ადგილი დაიკავა 1992 წლის ტრიუმფატორმა, პორტუგალიელმა ანტონიუ პინტუმ. ქალების შეჯიბრი მოიგო პოლონელმა მალგოჟატა შაბანსკამ. ერთი დეტალიც: სერონმა ბოლო ექვსი მარათონული სტარტიდან ხუთში გაიმარჯვა, რაც მართლაც გასაოცარი შედეგია.

სხვათა შორის, მარათონი იმ დღეს პარიზშიც მოეწყო. იქ გაიმარჯვა პორტუგალიელმა დომინგუშ კასტრომ.

ფეხბურთელთა ფინალის შესახებ წინა „სარბიელში“ ვწერდი, აი, ნიჩბოსნები კი წინადღით 141-ედ შეიბნენ. დისტანცია და მარშრუტი ტრადიციული იყო: პატნის ხიდიდან მორტლეიკამდე გასაცური 4-ნახევარი მილი.

გუნდები საგულდაგულოდ ემზადებოდნენ, თუმცაღა უნივერსიტეტებში სწავლით ერთობ დატვირთული არიან. წლევანდელი შეჯიბრის 16 მონაწილიდან სარეკორდოდ ბევრი — ათი უცხოელი იყო. ვის აღარ ნახავდით მოშუღარ რვეულებში: ამერიკელს, კანადელს, ნორვეგიელს, ახალზელანდიელს, გერმანელს, ხორვატს და მისთ. ეკიპაჟები ექვს თვეს ვარჯიშობდნენ. ამჯერად ოქსფორდს მეტოქეზე მძიმე გუნდი შეეკრიბა და ვინაიდან რბოლათა ორი მესამედი მძიმეთა გამარჯვებით დასრულებულა, ფავორიტადაც მუქლურჯები (ოქსფორდელები) მიიჩნეოდნენ. ეს დეტალი ტყუილად არ შემინიშნავს, ვინაიდან ამ რბოლის შედეგის გამო ფსონებს მთელს მსოფლიოში იღებენ. მანდ, „კროკოში“ როგორა გაქვთ საქმე?

პროგნოზი თავდაყირა დააყენა ქემბრიჯმა. მისი რვეული პირველსავე მოსახვევში წინ გაიჭრა და ლიდერობას აღარც შეჰლევია. გამარჯვებულთა შედეგი 18 წუთი და 4 წამია. ოქსფორდი მეტოქეს 12 წამით, ნიჩბოსანთა ენაზე კი ნავის 4 სიგრძით ჩამორჩა. ლია ცისფრებმა (ქემბრიჯმა) ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა, რის შემდეგაც ჯამური ანგარიში 72-68 გახდა მისსავე სასარგებლოდ. ოქსფორდს თავის სანუგეშოდ ისღა დარჩა, რომ იმავე დილით ფეხბურთი ზედიზედ მეშვიდედ მოუგო მეტოქეს. ანგარიში ამჯერად 1:0 იყო. იმასაც დავამატებ, რომ რაგბის თამაში, თვიქნემში დეკემბერში რომ გაიმართა, ქემბრიჯს 26:21 მოუგია, ნიჩბოსანთა შეჯიბრებას კი მთელს მსოფლიოში 250 მილიონი ტელემაყურებელი ადევნებდა თავს.

ამ უქმეებზე ბრიტანელებს ახალი გასართობი აქვთ: შაბათს ლივერპულის ლეგენდარული სტიპლ-ჩეისი გაიმართება, კვირას კი ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალებია ლიდსსა და ბირმინგემში. რაღა თქმა უნდა, ორივეს ამბავს თავის დროზე გაცნობებთ.

დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

# II ეტაპი

9 აპრილი. არგენტინის „გრან-პრი".

ავტოდრომი „ოსკარ გალვეს"

წრის სიგრძე 4260 მ. 72 წრე (306,72 კმ)



ბოლო რბოლის პრიზიორები:

1981. ნელსონ პიკე („ბრებჰემი"), კარლოს როიტემანი, ალენ პროსტი.

ბოლოსდაბოლოს, საქმე, რომლის მოსაგვარებლად თავად არგენტინის პრეზიდენტი კარლოს მენემიც კი შეწუხდა, იქაურ გულშემატკივართა სასიხარულოდ გაიჩარხა და ზეგ ბუენოს-აირესში გაიმართება წლევანდელი ჩემპიონატის მეორე ეტაპი: 14-წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გათამაშდება არგენტინის „დიდი პრიზი". ეს ნატანჯი რბოლა შარშანდელ კალენდარშიც „იჯდა", მაგრამ რადგან ტრასა ვერ პასუხობდა მძღოლთა უსაფრთხოების მოთხოვნებს, ჯერ ოქტომბრისთვის გადაიტანეს, მერე კი ესპანეთში „ხერესის" ავტოდრომზე ევროპის „გრან-პრით" შეცვალეს.

თავიდან არც ამჯერად იყო საქმე უკეთესად — 12 მარტისთვის დანიშნული რბოლა კიდევ ოთხი კვირით გადაიდო. ბოლოს, რაკი ყველაფერი მოგვარდა, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამაც, როგორც იქნა, „მწვანე შუქი" აუნთო ორგანიზატორებს. ესენი კი ცნობილი არგენტინელი პილოტის, 1980 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის კარლოს როიტემანის თავკაცობით მართლაც გვარიანად გაისარჯნენ. მთლიანად შეიცვალა ტრასის საფარი, რომელსაც ახლა ვერც 40-გრადუსიანი სიცხე და ვერც ტროპიკული ნიაღვარი დააკლებს რამეს. გარდა ამისა, უსაფრთხოებისა და სიჩქარის დაკლების მიზნით ტრასის ერთ-ერთ [illegible] გრძელ მონაკვეთზე (ასეთი კი სულ სამი იყო) „S"-ის მაგვარი ზიგზაგიც მოაწყეს, რასაც მყისვე აირტონ სენას სახელი დაანათლეს.

რამდენად დაუფასდებათ მასპინძლებს გარჯა და რაოდენ უხიფათოდ ჩაივლის საკვირაო ჯირითი, ამას უშუალოდ რბოლა გამოაჩენს. მანამდე კი გაცნობებთ, რომ არგენტინის „დიდი პრიზი" პირველად 1953 წელს გათამაშდა. მაშინდელი მოგება იტალიელ ალბერტო ასკარის („ფერარი") მშვენივრად დაებედა — იმ წელს ის ჩემპიონი გახდა. ბოლოჯერაც (1981) ბუენოს-აირესში გამარჯვების შემდეგ ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ არავის დაანება პირველობა. ასე, რომ ზეგ იქნებ ახალი ჩემპიონიც „დაიბადოს" ვადამდე.



შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა, გერმანელმა მიხაელ შუმახერმა მედიას ამცნო, რომ 31 მარტს უეჭველ დახრჩობას გადარჩენილა. ამ დღეს მრბოლი სამ ძმაკაცთან ერთად რიოს აკვატორიუმში შეაგულ ზღვაში მცირე კატერით საყვინთავად შეუცურავს. ბიჭებს რომ ამოუყვინთავთ, შეუნიშნავთ, რომ კატერი ერთობ დაშორებოდათ და მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ეკიპაჟისთვის ხმა ვერაფრით მიუწვდენიათ. შუმახერს თავი გამოუდვია, თქვენზე უკეთ ვცურავო და კატერისკენ გაუტევია, მაგრამ, სამშვიდობოს გასვლისთვის საათზე მეტი მოუნდომებია, შიშიც უჭამია და რამდენჯერმეც ჰგონებია, ახლა კი დასრულდა ჩემი სიცოცხლეო. მეკატერეებმა „შუმი" მოასულიერეს, მერე კი მის გათანგულ ამფსონებსაც სულზე მიუსწრეს.

გია ახალაძე



# მამალს რომ ჰკითხო, ესაც სპორტია



ვთქვათ, ფილიპინებზე მოხვდით. ღმერთმა დაიფაროს და, ვთქვათ, ხანძარსაც შეესწარით იქ. თუ ახალი ჩასული ხართ, გაიკვირვებთ, აბა, რა იქნება, ასეთ სურათს რომ იხილავთ: ცეცხლწაკიდებული ოჯახის უფროსმა ჯერ მამალი გამოაფრიალოს ალებული სახლიდან, მერე კი ცოლშვილის საშველად შებრუნდეს.

აქაურობის კარგად მცნობისთვის კი ამ ამბავში საკვირველი არაფერია: აბა, როგორ, ის მამალი ხომ მოჩხუბარია, ეს ფილიპინელები კი ამათზე ჭკუას ჰკარგავენ...

მთლად ასე არა, მაგრამ მამლების ჩხუბზე სხვა ქვეყნებშიც გიჟდებიან, თანაც ერთი და ორი საუკუნე კი არა.

მამლების ჩხუბი ძველ საბერძნეთში ფრიად პოპულარული რამ გახლდათ და მრავალ მაყურებელსაც იზიდავდა. ელინთათვის იგი ოლიმპიურ თამაშებზე არანაკლებ ემოციური სანახაობა როდი იყო.

ჩვენი დღევანდელი გაგებით ამ საქმედალეულთა გართობას ათენელები უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მამლების ჩხუბის შემხედვარე ერთმა ცნობილმა მოღვაწემ სპარსელებთან ბრძოლის წინ მეომრებს ასეც კი მიმართა: „შეხედეთ ამ მამლებს! ისინი იმიტომ იბრძვიან ეგზომ შეუპოვრად, რომ არ დამარცხდნენ და არ დამონდნენ. მამლები არც სამშობლოსთვის იბრძვიან, არც თავიანთი ღმერთებისთვის თუ წინაპართა საფლავებისთვის. ისინი სისხლს ღვრიან არა თავისუფლების მოსაპოვებლად ან თავიანთი შვილების ბედნიერებისთვის, არამედ იმიტომ, რომ ბრძოლაში გაიმარჯვონ და ვაჟკაცის სახელი დაიგდონ".

ათენელი ჭაბუკები „კანონის სახელით" ვალდებულნი იყვნენ დასწრებოდნენ მამლების ორთაბრძოლას, რათა თვალნათლივ ეხილათ, როგორ უნდა ებრძოლათ მომავალ ჯარისკაცებს.

მამალს დიდ პატივს მიაგებენ ფრანგებიც — იგი ხომ საფრანგეთის სიმბოლო-გახლავთ და მას ამ ქვეყნის სპორტულ სიმბოლიკებზეც ძალზე ხშირად ვხედავთ. რაღა გასაკვირია, რომ გასულ საუკუნეში „ჩრდილოეთ საფრანგეთის მემამულეთა ფედერაციამ" მამლების ჩხუბის ოფიციალური წესდებაც კი გამოსცა. იმ წესდების მიხედვით, მამლები სამ წონით კატეგორიად დაჰყვეს, სარბიელი ოთხ-ხუთ კვადრატულ მეტრზე მიუზომეს და ბრძოლის ხანგრძლივობად 8 წუთი დათქვეს.

მამლების ჩხუბი, მრავალ ხალხში ძველთაგანვე ძალზე პოპულარული, თანდათან ბევრ ქვეყანაშიც რომ ვრცელდებოდა, არაერთგან იკრძალებოდა კიდეც. ასე მოხდა ინგლისშიც 1885 წელს, მაგრამ აკრძალვის მიუხედავად იგი მაინც იმართებოდა.

მამლების ჩხუბი დღესაც ძალზე პოპულარულია ბულგარეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში... ლამის ეროვნული სახეობაა კუბაში, მექსიკაში, მალაიზიაში...

ჰოდა, მივადექით კიდეც წერილის თავში ნახსენებ ამაზე გადარეულ ფილიპინელებს. იქვე რომ სურათი დავხატეთ, რა თქმა უნდა გაზვიადებულია — უბრალოდ, თავად ფილიპინელები ხუმრობენ ასე საკუთარ თავზე, მაგრამ იმას არცთუ ხუმრობით ამბობენ, მამლების ჩხუბი კანონმდებლობით მხოლოდ კვირაობითა და დღესასწაულებზე რომ არ იმართებოდეს, მაშინ არცერთ დღეს აღარ ვიმაშავებდითო.

ფილიპინებზე მებრძოლი მამლები სპეციალურ ფერმებში გამოჰყავთ და საგანგებოდაც ამზადებენ. აქ ბევრი ადგილობრივი ჯიშის მამალია, მაგრამ ყველას სჯობს ტეხასური, რომელიც ამერიკელ ნაჯარისკალს, ვინმე მისტერ სალის გამოუყვანია. აქ მოსაშენებლად იყენებენ ელიტარულ „მწარმოებლებს" — ძლიერებს, გამოცდილთ და მრავალ ორთაბრძოლაში გამარჯვებულთ. მამლებს არავითარ შემთხვევაში გალიაში არ ამწყვდევენ და თავისუფლად ზრდიან. კვერცხების შერჩევა, წიწილების გამოჩეკა და აღზრდა მთელი მეცნიერება და ფრიად მომგებიანი ბიზნესია.

4-6 თვის ყვინჩილებს უკვე კარჯიში აწყებინებენ, უკითარებენ გულადობას, ცკიპილების ატანის უნარს; ასწავლიან რაც შეიძლება დიდ სიმაღლეზე ახტომას და კარატისტისა არ იყოს, ჰაერში მარცხენა ფეხის დარტყმას.

იმ მარცხენა ფეხზე მას შემდგომში ბრძოლის წინ ფოლადის დეზს მიამაგრებენ და სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში გადაუშვებენ. მოწინააღმდეგეს უფრო ბრაზიანად რომ ეკვეთოს, ზედ ბრძოლის წინ თავს წყალში ნახევარი წუთით ჩააყოფინებენ ან თვალებში სიგარეტის კვამლს შეაბოლებენ.

ამგვარად გაგიჟებულ-გადარეული მამალი ჭკუაზე აღარ არის და მზადაა ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ეკვეთოს, მაგრამ მისი მეტოქეც ხომ მასავითაა და ისიც თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს.



ჰოდა, ბრძოლაც იწყება. რა თქმა უნდა, ყველა მამალი თავის წონით კატეგორიაში გამოდის. ზოგ ქვეყანაში ეს წონითი კატეგორია სამ ჯგუფად იყოფა, ზოგან ხუთად, ფილიპინებზე შვიდი-რვა კატეგორიაა. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია მათი „რინგის" ზომაც. ბრძოლის ხანგრძლივობა ერთგან სამი-ხუთი წუთია, მეორეგან ათ წუთამდე აღწევს.

ასეა თუ ისე, მსაჯის ნიშანზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იწყება. მებრძოლნი სისხლისგან იცლებიან, მაგრამ მაინც ჯიქურ მიიწევენ ერთმანეთისკენ. მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, მებრძოლ მამლებს თავიანთი „ღირსების კოდექსიც" აქვთ: არავითარ შემთხვევაში ნისკარტს არ ჩაჰკრავენ ერთმანეთს თვალში, არც მაშინ გადადიან შეტევაზე, თუ დაინახეს, მეტოქეს ბრძოლის თავი აღარა აქვს. და მხოლოდ მაშინ, როცა ძლეული ფეხზე დგომას ვეღარ შეძლებს, მიწაზე ეცემა და გვერდზე წვება, ოღონდ მოწინააღმდეგეს არც ამ შემთხვევაში აჩვენებს კუდს. ამ დროს მეორე, ისიც დასისხლიანებული, მაგრამ გამარჯვებული, ომახიანად შეჰყივლებს ერთი-ორჯერ. ზოგ ქვეყანაში მამალი არ ითვლება გამარჯვებულად, თუ ბრძოლის მერე ორჯერ მაინც არ დაიყივლებს. და მაშინ აღგზნებული მაყურებელი ისე იხუვლებს, როგორც პირთამდე სავსე სტადიონი ულამაზესი გოლის ხილვისას. დამარცხებული მამლის პატრონი კი ამ დროს ცრემლებს ძლივს იკავებს. თუ ერთი მამლის გამარჯვებას მის ქომაგთათვის სიხარულთან ერთად მოგებული ფული მოაქვს, დამარცხებულის ქირისუფლისთვის ზოგჯერ უკანასკნელი კაპიკებისა და ხშირად სახლ-კარის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაცაა, მამლების ჩხუბი ფილიპინებზე ხშირად შინაური აყალ-მაყალისა და ოჯახების ნგრევის მთავარი მიზეზიც ყოფილა.

ამ წერილის ზოგმა წამკითხავმა შეიძლება ესეც გაიფიქროს, რა ძალიან უცხო ხილი ეს არის ჩვენთვის, მამლებს უწინაც აძიძგილავებდნენ ჩვენში და ახლაც გვინახავს ფრინველთა ბაზრობაზეო. ეს კი ნამდვილად ასე იყო და არის, მაგრამ, ჯერ ერთი, რა შედარებაა, მეორეც, იქ ზოგან თავს იკლავენ, მამლების ჩხუბიც სპორტია და რომელზე ნაკლებიო. აი, ამიტომ იყო, რომ ესეც გაგაცანით, განსჯა კი თქვენზე იყოს.

ავთანდილ ჭუმბურიძე



მარცხით დასრულდა მონიკა სელეშის ბოლო აპელაციაც. ჰამბურგის სასამართლომ ხელახლა განიხილა აწ უკვე ამერიკელი ქალის ბეჭში დაჭრის საქმე და სელეშის ორი წლის წინანდელი მეტოქის, შტეფი გრაფის თაყვანისმცემელი გიუნტერ პარხე გაამართლა. მოსამართლე გერინგს განუცხადებია, პარხე სელეშის მოკვლას არ ცდილა, ძალზეც განიცდის მომხდარს და მსგავს რამეს მეტს აღარ

## პარხე უზრალოაო

ჩაიდენს, რასაც ისიც მოწმობს, გასისხლიანებული პერანგი და დანა რომ ვაჩვენეთ, სირცხვილით კინაღამ დაიწვაო. ამასთან, გამოძიებისას ციხეში ისედაც ექვსი თვე აყურყუტეს, ამიტომ ორი წლით პირობითი პატიმრობა საკმარისი მგონიაო.

სელეში და დანარჩენი ჩოგბურთის სამყარო თურმე ასე როდი ფიქრობენ. ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტყოფილი პემ შრაივერი პარხეს უფრო მაღლა ჩივილით დამუქრებია, თავად მონიკას კი ფაქსი გაუგზავნია სასამართლოსათვის, ამ ინციდენტმა ცხოვრება სამუდამოდ მომიწამლაო.

პარხე სასამართლოს დარბაზშივე გაათავისუფლეს. მსაჯულს უთქვამს, სელეში ცდება, თვალის წინ თვალს რომ ითხოვსო. რაც შეეხება მსოფლიო კლასიფიკაციის ამჟამინდელ პირველ ნომერს, ესპანელ სანჩეს-ვიკარიოს, მან წინა კვირაში თამაშისას კოჭი იღრძო, რის გამოც ექვსი კვირა გაუცდება.



სამხრეთი აფრიკის რაგბის ნაკრების ყოფილი 10 ნომერი ნაას ბოთა „ზეათის სერიალის" ფინალის curtain-raiser-ში (ფარდის ახდის თამაშში) იმონაწილევებს. ამან ერთობ ააშჩატა ქვეყნის სარაგბო საზოგადოებრიობა და აფიქრებინა, რომ დიდი მოთამაშე, ვინაც უკვე 37 წლისაა, მსოფლიო თასისთვის ნაკრებში დაბრუნებას აპირებს.

ბოთა ტესტ-რაგბს 1992 წლის ნოემბერში ინგლისი — სამხრეთი აფრიკის თამა-

## ბოთამ ხალხი ააღელვა

შის შემდეგ გამოეთხოვა, ბიზნესს მიხედა და ჩრდილოეთი ტრანსვაალის მენეჯერის თანაშემწეობაც დაიწყო. 1993 წლის ოქტომბერში მას სამადლობელი თამაშიც კი გაუმართეს.

სელექტორებს ბოთა არ შეუყვანიათ იმ 47 მოთამაშის სიაში, მსოფლიო თასისთვის რომ ამზადებენ. ამ ნუსხაში ისედაც ოთხი 10 ნომერია: ლერუ, სტრანსკი, ჰონიბალი და ჰერბერტი.

სამაგიეროდ, ბოთას უნდა ეკაპიტნა თავისი ქვეყნის სახალისო ნაკრებისთვის, მსოფლიო თასის კვირაძალს სტელენბოსხის უნივერსიტეტის სტადიონზე სამხრეთაფრიკული რაგბის აწ განსვენებული ხელისუფლის, დოქტორ დანი კრეივენის მოსაგონარ მატჩში მსოფლიოს ასეთსავე ნაკრებს რომ უნდა ეთამაშოს. ამ ნაკრებში თითო მოთამაშეს მიავლენს მსოფლიო თასის სტუმარი თხუთმეტივე ქვეყანა; ოღონდაც, ეს მორაგბეები ამ თასზე არ უნდა მონაწილეობდნენ.

## აქეთური, იქითური

ბირმინგემში გაიმართა ბრიტანეთის ღია პირველობა ბადმინტონის თამაშში. ქალთა ტიტული მოიგო „შვედმა" ლინ მაოჩინმა, რომელიც ჩინეთს 1989 წლის სტუდენტური მღელვარების შემდეგ გაერიდა. [illegible] ბრიტანეთის-ოთხგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, [illegible] სუზი სუსანტი 12:11, 11:7 დაამარცხა, [illegible] დანიელ კამილა მარტინს 11:9, 10:12, 11:3 მოუგო. ვაჟთა შეჯიბრიც ცაცხამ, დანიელმა პაულ ერიკ ჰოია-ლარსონმა მოიგო, ვინაც შარშანდელი ჩემპიონს, ასევე ინდონეზიელ ჰირიანტო აბის 17:16, 15:6 სძლია. ტურნირი წელს 85-ედ გაიმართა.

*

ავსტრალიის კრიკეტის ნაკრები კარგა ხანია ვესტ-ინდოეთში სტუმრობს, სადაც 1-4 წააგო თითოდღიანი თამაშების სერია, მაგრამ პირველივე ტესტი, 31 მარტს რომ დაიწყო ბარბადოსზე, ბრიჯთაუნის „ქენზინგთონ ოვალზე", ვადამდე ორი დღით ადრე (ანუ სამ დღეში) 10 ბჯით მოუგო მასპინძლებს.

*

ჩრდილოეთ ამერიკაში პროფესიონალ კეტბურთელთა უმაგალითო გაფიცვის დასრულების შემდეგ გამოცხადდა, რომ გვიანი სტარტის გამო რეგულარული სეზონი 18 ტურით შეიკვეცა. თითოეული გუნდი ამის გამო 144 თამაშს გამართავს. სულ ბოლო მონაცემებით პირველობის გახსნა ერთი დღით ადრე გადმოდეს: 25 აპრილს მაიამში „ფლორიდა მარლინზი" „ლოს-ანჯელეს დოჯერზს" შეხვდება.

*

„ამერიკის თასის" ვეტერან დენის კონორს დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, ვინაიდან თავისი იახტა „სტარზ ენდ სტრაიპზს" თასის დამცველთა გაგანია შეჯიბრში კილი გამოუცვალა, თანაც ისე, რომ იახტის სპეციფიკაციები დაარღვია. ჟიურიმ 16 საათი იმსჯელა და ერთი პირობა დაადგინა, რომ ის რბოლები, რომლებშიც კონორმა ახალი კილით იასპარეზა, ხელახლად გამართულიყო, მაგრამ მერე შეცვალა შეჯიბრების დებულება და დამცველის გამოსავლენად სამთა 12-რბოლიანი შეჯიბრის გამართვა დაადგინა. კონორი, როგორც მაჩანჩალა, ამ „სეილოფს" ხელცარიელი დაიწყებს, ხოლო მისი მჯობნი „იანგ ამერიკა" და „მაითი მერი" (იგივე „ამერიკა კიუპიდი") — პრემიალური ქულებით. რაც შეეხება [illegible] ცილითა შეჯიბრს, მის ფინალში [illegible] [illegible]-ზილენდი" ნაავარიებ „ვა[illegible]ლიას" შეეჯიბრება. პირველმა ნახევარფინალში სძლია „ნიპონს", მეორემ — „ტაგ-ჰოია ჩელენჯს".

*

ინგლისის ქალაქ დარემში გამართული კროსის მსოფლიო პირველობის მონაწილე სამ-სამი ეთიოპი და იემენელი მორბენალი დაიკარგა. ორგანიზატორები ეჭვობდნენ, ბრიტანეთში დარჩენას ხომ არ აპირებენო. მართლაც, გამოხდა ხანი და ყველანი ლონდონში იპოვეს. ეთიოპებმა განაცხადეს, შინ აღარ ჩავვესვლება, ვინაიდან ჩვენი ტომის ხალხს იქ ხელისუფლებამ გენოციდი მოუწყოო.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მექვულია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29